ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 ივლისიდან!
„ახალი თაობა" +
რაინდები და ციხე-კოშკები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი




სამშაბათი, 30 ივლისი, 2013 №178 (6179) ფასი: 30 თეთრი

## ალეკო შალამბერიძე: „ქართული ოცნება ნაციონალური მოძრაობა-2 გახდა"

გვ.3



## გიორგი მარგველაშვილი დებატებისთვის მზადაა

გვ.4

დებატები და საარჩევნო კამპანია უნდა წარიმართოს მშვიდობიანად, ყოველგვარი ბოთლებისა და ქვების სროლის გარეშე



## მერიის ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ათეულობით მილიონი ლარის გაფლანგვა აღიარეს

გვ.2

## ილია II: „იმედია, რუსეთის პრეზიდენტი პირობას შეასრულებს"

გვ.3



## სანიკიძემ მარგველაშვილის ყველა კადრი ჩამოიშორა

გვ.6





## აკაკი ასათიანი: „წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები არ იქნება!"

გვ.2



## იპოთეკარების საკითხი წულუკიანმა ჩიხში შეიყვანა

გვ.5

## საპარტნიორო ფონდმა ყვარელში სასტუმრო-ინფრასტრუქტურული პროექტი დაასრულა

გვ.6





## ნინო ბურჯანაძე: „ქართული ოცნება ნაციონალების გადარჩენას ცდილობს"

გვ.2

25 ივლისიდან!
„ახალი თაობა"
+
„მგლის ბილიკი"
6 ლარი




ISSN 1987-9385

4 გიორგი თარგამაძე: „ივანიშვილმა და უმრავლესობამ ანტიდემოკრატიული სახე წარმოაჩინეს"

2 მიხეილ სააკაშვილი: „სააპატიმროებში ძალადობა და განუკითხაობა 1 ოქტომბრის შემდეგ დიდი მასშტაბებით გრძელდება"

4 საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია

7 რა მომავალი აქვს „ქართულ ოცნებას"

# აკაკი ასათიანი: „წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები არ იქნება!“

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ აკაკი ასათიანთან**

***— ბატონო აკაკი, უკვე „ქართული ოცნების“ შიგნითაც ალაპარაკდნენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე და როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ უახლოეს პერიოდში დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები?***

— წელს ეს არჩევნები ვერანაირად ვერ მოესწრება და გაისად, ენდომება ვინმეს თუ არა, ამის აუცილებლობა დღის წესრიგში აუცილებლად დადგება და მერე ვნახოთ, ვინ რა პოზიციას დაიკავებს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ თავად ოცნებაში აღმოჩნდებიან ამის მოწინააღმდეგენი?***

— ოცნება რა პოზიციას დაიკავებს, ვერ გეტყვით, ალბათ მომხრეებიც ეყოლებათ და მოწინააღმდეგენიც. დაველოდოთ საპრეზიდენტო არჩევნებს, ვნახოთ, როგორ ჩაივლის და მერე ნელ-ნელა ყველაფერი გამოიკვეთება. იმედია, რომ საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს და ღირსეულს აირჩევს ქვეყნის პრეზიდენტად.

***— საუბარია, რომ კონკრეტული ძალების მხრიდან აქტიურად მიდის მუშაობა იმის თაობაზე, რომ არჩევნების შემდეგ სააკაშვილი დარჩეს ხელშეუხებელი, ამასვე ითხოვს დასავლეთიცო, თქვენი აზრით, რამდენად გამოუვათ ეს?***

— დასავლეთის პოზიცია ისედაც ყველასთვის ნათელია, რასაკვირველია, მათ არ უნდათ, რომ სააკაშვილი გისოსებს მიღმა იხილონ, მთელი ამ წლების განმავლობაში მისი ქების მეტი ხომ არაფერი უკეთებიათ. დღეს კი ვალს იხდიან, რა ქნან, უნდა დაიცვან და გაამართლონ. დემოკრატად და ადამიანის უფლებების საუკეთესო დამცველად გამოჰყავდათ. თუ არ დაიცავენ, მაშინ გამოდის, რომ უნდა აღიარონ საკუთარი ექსპერიმენტის წარუმატებლობა და არავის არ უყვარს შეცდომის აღიარება. ამიტომ ისინი ყველანაირად შეეცდებიან, რომ სააკაშვილი არ გასამართლდეს. თუმცა აქ გადამწყვეტი ჩვენი ხელისუფლების და ჩვენი საზოგადოების პოზიცია იქნება. სააკაშვილი ხომ ყოველთვის დასავლეთის მითითებებით მოქმედებდა, 26 მაისთან დაკავშირებით რაც თქვა, ესეც მოვისმინეთ.



***— თქვენი აზრით, სიმართლე თქვა სააკაშვილმა?***

— ვერ გეტყვით, სიმართლე თქვა თუ არა, თუმცა მაშინდელი ამერიკის ელჩის განცხადებას თუ გავითვალისწინებთ აქციის დარბევის თაობაზე, ამაში სიმართლის მარცვალი უნდა იყოს. ახალმა ელჩმაც თავი შეიკავა. რაკი არ უარყო, ჩვენც ჩავთვალოთ, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია.

***— გამოდის, რომ ის საშინელება, რაც იმ დღეს მოხდა, სანქცირებული იყო ამერიკისგან?***

— ეს რომც არ ეთქვა სააკაშვილს, ვიმეორებ, წინა დღით მაშინდელმა ელჩმა ხომ თქვა, რომ ეს მიტინგი უნდა დაიშალოსო? მან მწვანე შუქი აუნთო სააკაშვილს. ისინი დღეს არ აყვებიან სააკაშვილს ამ თამაშში. ითქვა და ითქვა.

***— რაც უფრო ახლოვდება სააკაშვილის წასვლის დრო, მით მეტ პროვაკაციას უნდა ველოდეთ მისგანო. თქვენ რამდენად ელით პროვოკაციებს სააკაშვილისგან?***

— არ არის გამორიცხული, თუმცა ეს სააკაშვილისგან დიდი სისულელე იქნებოდა. წესით, მას აღარ უნდა აწყობდეს მის გარშემო სიტუაციის დამძიმება, თუმცა ეს ჩემი აზრია და თვითონ რას ფიქრობს, არ ვიცი. ბევრს საუბრობენ, რომ ის გისოსებს მიღმა აღმოჩნდებაო, თუმცა ამაზე განცხადებებს ჩვენ არ უნდა ვაკეთებდეთ, ეს არის ორგანოების საქმე. მათ უნდა დაამტკიცონ სააკაშვილის ბრალეულობა ამა თუ იმ საქმეში და განცხადებებიც მათ უნდა გააკეთონ. ჩვენ რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ ამაზე, მე და თქვენ ამას ვერ გადავწყვეტთ. აღვნიშნე კიდეც, დასავლეთი თავისას შეეცდება, რომ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული სააკაშვილი არ გასამართლდეს, თუმცა, ვნახოთ, დაველოდოთ პროცესებს და იმას, თუ როგორ იმუშავებენ სამართალდამცავები. ეს სწორედ მათი გასაკეთებელი საქმეა.

***— რა პროცესებს ელით საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? საუბარია, რომ ოცნების რეიტინგი საგრძნობლად დაეცაო...***

— დიახ, გეთანხმებით, საგრძნობლად დაიწია კოალიციის რეიტინგმა. ეს მოსალოდნელიც იყო. სერიოზული გაურკვევლობაა, პრობლემა ძალიან ბევრია და რაღაცნაირად ვერ ხერხდება თავის მობმა და ამ პრობლემების გადაჭრა. არის ბევრი ისეთი დაპირება, რომელიც ვერ შესრულდა. პრემიერი აცხადებს, რომ იმაზე რთულად არის საქმე, ვიდრე ჩვენ გვეგონაო და ეს თავიდანვე უნდა სცოდნოდათ, რომ სერიოზულ პრობლემებთან მოუწევდათ შეჯახება. ქვეყნის მართვა ასე მარტივი არ არის და ეს პოლიტიკოსმა კარგად უნდა იცოდეს. როდესაც ამდენ დანაპირებს იძლევი არჩევნების წინ და მერე აცხადებ, რომ ბოდიში, მაგრამ ამას ვერ ვასრულებო, რა თქმა უნდა, შენი რეიტინგი დაეცემა. ცხადია, რომ ეკონომიკური კუთხით მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, არაფერი გადაწყვეტილა წართმეულ ქონებებთან დაკავშირებით, ხალხი ელის სამართლიანობის აღდგენას, ის კი ასე იგვიანებს. უკვე ამხელა დრო გავიდა, რაღაც სტრატეგია ხომ უნდა ჰქონდეთ შემუშავებული. პირდაპირი ადამიანია და არც ბოდიშის მოხდა უძნელდება საზოგადოებისათვის, მაგრამ ეს საქმეს უშველის?!

***— როდესაც ექსპერტებს ხვდებოდა, შეხვედრის შემდეგ ივანიშვილმა განაცხადა, რომ ბევრ რამეზე თვალი ამეხილაო, თქვენი აზრით, რა ჰქონდა მხედველობაში?***

— ალბათ იყო ისეთი საკითხები, რის საქმის კურსშიც არ იყო და ექსპერტების მხრიდან დეტალურად მოხდა ვითარებაში გარკვევა და ინფორმაციის მიწოდება.

***— ასეთ რთულ ვითარებაში პრემიერის წასვლა რამდენად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნისთვის?***

— კარგი პროცესები ნამდვილად არ მოყვება, თუმცა არც უსაშველო იქნება ალბათ. გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება არსებული ვითარებიდან. ამ სიტუაციაში წასვლა, არ ვიცი, რა შედეგებს მოიტანს, თუმცა, ვიმეორებ, უსაშველო არაფერი არ არის. კატასტროფა არ იქნება. თავიდან შეიძლება კრიზისი იყოს, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და ჩამოყალიბდება. მე ასე მგონია. წასვლით არ მიდის ეს კაცი, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში რჩება...

***— კი, მაგრამ, თუ არ იქნება პოლიტიკაში, მაშინ რა ბერკეტები ექნება სიტუაციის გასაკონტროლებლად?***

— საზოგადოებრივი ზემოქმედების, თვითონ ასე აცხადებს ყოველ შემთხვევაში და ეს რამდენად იმუშავებს საქართველოში, ვერ გეტყვით.

# ნინო ბურჯანაძე: „ქართული ოცნება ნაციონალების გადარჩენას ცდილობს“

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარის და საპრეზიდენტო კანდიდატის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პატრიარქის ვიზიტი რუსეთში კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმას, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირდაპირ საუბარსა და დიალოგს.



„ისევე, როგორც საქართველოს პატრიარქს, მეც იმედი მაქვს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები დალაგდება. დარწმუნებული ვარ, რომ სიტყვას, რომელსაც ამბობს რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, — შეასრულებს. მე გამოვრიცხავ იმას, რომ მას პატრიარქისთვის რაიმე ისეთი პირობა ან წინადადება მიეცა, რომელსაც ის შემდგომში იგნორირებას გაუკეთებდა. ეს გამორიცხულია. ძალიან პოზიტიურად ვაფასებ პატრიარქის ვიზიტს“ - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

შეკითხვაზე, ხომ არ სცდება რუსეთში პატრიარქის ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმებები ეკლესიის ფარგლებს, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ პატრიარქის ვიზიტით, რუსეთთან, გარკვეულწილად სარკმელი გაიღო.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ პატრიარქის ვიზიტით გარკვეულწილად სარკმელი გაიღო, რომელიც ისეთი უმნიშვნელოვანესი თემების მოგვარების შესაძლებლობას იძლევა, როგორიც არის ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული აფხაზეთის, ე.წ სამხრეთ ოსეთის და ჩვენი დევნილების საკითხი. ეს ეკლესიის ფარგლებს არანაირად არ ცდება. ეს არის შესაძლებლობლობებზე საუბრის დაწყება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამას ახლა სწორი გაგრძელება სჭირდება არა მხოლოდ სასულიერო პირებს შორის, არამედ სჭირდება სწორი პოლიტიკური გარემო. ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, ვინ იქნება საქართველოში ის ადამიანი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ჩააბარებს მანდატს, საქართველოს სახელით ილაპარაკოს და იბრძოლოს საქართველოს ერთიანობისათვის და საქართველოს სწორი საგარეო კურსის უზრუნველყოფისათვის“-განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძემ, ბრიფინგზე განაცხადა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები აუცილებლად უნდა შედგეს.

„მე ვფიქრობ, რომ აუცილებელია შედგეს დებატები ძირითად საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. ეს ნორმალური საპრეზიდენტო საარჩევნო პროცესის ჩვეულებრივი მოთხოვნაა. ჩემთვის არანაირი პრობლემა არ არის დებატებში მონაწილეობის მიღება, უბრალოდ, სასურველია, რომ რომელიმე კანდიდატმა ნებართვების გაცემა არ დაიწყოს უნდა შედგეს თუ არა დებატები და როგორ უნდა ჩატარდეს საერთოდ წინასაარჩევნო პროცესი.

საზოგადოებას უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ მოისმინოს, რას პირდებიან მას ძირითადი საპრეზიდენტო კანდიდატები და როგორ ახერხებენ ერთმანეთთან არგუმენტების დასაბუთებას“-განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, 27 ოქტომბერს, საზოგადოება ახლა უკვე საბოლოოდ, კიდევ ერთხელ დაუსვამს წერტილს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ დემაგოგიას.

„გარწმუნებთ, რომ ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, მახინჯი კოჰაბიტაცია დამთავრდება იმავე დღეს, რა დღესაც მე პრეზიდენტის რანგში მოღვაწეობას დავიწყებ და „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, მიიღებს იმას, რასაც ის სამართლებრივი და დემოკრატიული ქვეყნის პირობებში იმსახურებს“– განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„კარგი იქნება, რომ „ქართული ოცნება“ თავის პოზიციას კვირაგამოშვებით და დღეგამოშვებით არ ცვლიდეს ხოლმე“ — ასე შეაფასა „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შესაძლო შეხვედრასთან დაკავშირებით.

„იმისთვის, რომ ერთიდაიგივე საკითხთან დაკავშირებით პოზიციები ყოველკვირა არ იცვლებოდეს, საჭიროა მეტი კომპეტენტურობა, საჭიროა ელემენტარული მოლაპარაკებები და არა კოჰაბიტაციაში გართულობა. საჭიროა რეალური მოლაპარაკებების წარმართვა იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც არსებობს, მათ შორის არასაპარლამენტო ოპოზიციასთან. ჩემთვის საერთოდ წარმოუდგენელია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან სასაუბროდ, დისკუსიისათვის და შეხვედრისათვის ახალმა ხელისუფლებამ საერთოდ ვერ მოიცალა მაშინ, როდესაც გაცილებით ჯანსაღი ძალაა არასაპარლამენტო ოპოზიცია, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა,“ რომლის გადარჩენაც „ქართულ ოცნებას“ ასე უნდა. რა თქმა უნდა დრო ცოტა დარჩა იმისათვის, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ეფექტური ცვლილებები შევიდეს. 10 თვე აბსოლუტურად ტყუილადაა დაკარგული. სამწუხაროდ ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაკეთდა ქართული ოცნების მხრიდან, რომ საარჩევნო გარემო შეცვლილიყო და თუნდაც ის ცვლილებები შესულიყო კანონში, რომლის დაპირებებსაც ამდენი ხნის განმავლობაში იძლეოდა „ექსვიანი“ და „რვიანი“ სააკაშვილის ხელისუფლების დროს. ახლა პარლამენტშია ეს „ექსვიანი“ და არანაირი ცვლილება მათ 10 თვის განმავლობაში არ მიუღიათ. კარგი იქნება ახლა, თუ არჩევნებამდე ორი თვით ადრე მაინც შეიტანენ დამატებით ცვლილებებს. თუმცა საარჩევნო გარემო უსერიოზულესი ხარვეზებით რჩება. მათ შორის არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და ძალიან ბევრი სხვა საკითხი, რომელიც უდავოდ სერიოზულ ჩრდილს მიაყენებს არჩევნების სამართლიანობას და კონკურენტულ გარემოს“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

# მერიის ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ათეულობით მილიონი ლარის გაფლანგვა აღიარეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობით, საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ აიპ „თბილისის განვითარების ფონდიდან“ საბიუჯეტო სახსრების მითვისება-გაფლანგვის საქმეზე ბრალდებულებს, თბილისის მერის ყოფილ მოადგილეს დავით ალავიძეს, თბილისის განვითარების ფონდის ყოფილ თავმჯდომარეს დავით ავალიანს, თბილისის მერიის შესყიდვების სამსახურის ყოფილ უფროსს ალექსი თაბუაშვილს და მთაწმინდა-კრწანისის გამგებლის ყოფილ მოადგილეს დიმიტრი ჩხეიძეს, აღვეთის ღონისძიება პატიმრობა გირაოთი შეეცვალათ, რასაც საფუძვლად ბრალდებულების მხრიდან ბრალის სრულად აღიარება და გამოძიებასთან მათი თანამშრომლობა დაედო.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „თბილისის განვითარების ფონდიდან“ ათეულობით მილიონი ლარის საბიუჯეტო სახსრების მითვისება-გაფლანგვის ფაქტს. დადგენილია, რომ გიორგი საბანაძის, დავით ალავიძის, დავით ავალიანის, ალექსი თაბუაშვილის და დიმიტრი ჩხეიძის მიერ, ორგანიზებულად, 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე, სხვადასხვა ხერხით განხორციელდა სახელმწიფოს კუთვნილი 48 930 822 ლარის მითვისება-გაფლანგვა, რაც პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ხარჯების დასაფარად იქნა გამოყენებული. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური თავის ვებ-გვერდზე მერიის ყოფილ მაღაჩინოსანთა აღიარებით ჩვენებებსაც აქვეყნებს.

ნიუსპრესი

# მიხეილ სააკაშვილი: „საპატიმროებში ძალადობა და განუკითხაობა 1 ოქტომბრის შემდეგ დიდი მასშტაბებით გრძელდება“



საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ძალადობა და განუკითხაობა ქართულ საპატიმროებში 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დიდი მასშტაბებით გრძელდება. მან ამის შესახებ სინგაპურში ვიზიტის დროს განაცხადა.

„ის, რაც სამწუხაროდ ჩვენც ვერ აღმოვფხვერით ბოლომდე — განუკითხაობა და ძალადობა გრძელდება და დიდი მასშტაბებითაც — საპატიმრობეში. არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ 1 ოქტომბერს ციხეში ძალადობაზე კი არ ვთქვით უარი, არამედ ამ განვითარებაზე, ამ წინსვლაზე, ამ პროგრესზე და საქართველო წავიდეს უკან პოსტსაბჭოთა ქაოსში ჩაფლობისაკენ. ყველამ უნდა გავაანალიზოთ, რა მოხდა ზუსტად, უნდა ვიფიქროთ, როგორ გამოსწორდეს სიტუაცია, შეჩერდეს ეკონომიკური ვარდნა, გაგრძელდეს საქართველოს სწრაფი განვითარება, რადგან ეს ყველაფერი, რადგან ამ ყველაფრის გაკეთება რასაც არ უყურებთ, არის შესაძლებელი“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ილია II: „იმედია, რუსეთის პრეზიდენტი პირობას შეასრულებს“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს საქართველოს ეკლესიის წინამძღოლი ილია II საქართველოში ბრუნდება. ილია II რუსეთში 23 ივლისს გაემგზავრა. ამ ვიზიტის ფარგლებში ის უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებსაც შეხვდა.

საზოგადოებას ყველაზე მეტად რუსეთის პრეზიდენტისა და ჩვენი პატრიარქის შეხვედრის დეტალები აინტერესებს. ხალხი ელოდება, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში სწორედ ჩვენი პატრიარქი დაგვეხმარება. ზოგს იმისიც კი სჯეროდა, რომ პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ რუსეთი დაკარგულ ტერიტორიებს დააბრუნებს.

საქართველოს პატრიარქი პუტინთან გამართული შეხვედრით კმაყოფილია. ილია II პატრიარქ კირილთან გამართულ შეხვედრაზეც დიდ იმედებს ამყარებს.

ილია II-მ „მეცხრე არხთან" ინტერვიუში რუსეთში ვიზიტისას გამართული შეხვედრების შინაარსზე ისაუბრა. პატრიარქის თქმით, რუსეთის პატრიარქმა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში დევნილების დაბრუნების საკითხის განხილვის პირობა მისცა.

– რუსეთის პატრიარქი მობრძანდა ჩვენთან და პატრიარქმა მომცა სიტყვა და ეს არის პრეზიდენტი პუტინის აზრიც. მას უთქვამს კიდევ პატრიარქისთვის, რატომ არ შეიტანეთ აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ლტოლვილების საკითხიო.. ცალკე იქნება ეს საკითხი განხილული და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამას. შემპირდნენ. აქედან უნდა დავიწყოთ, ლტოლვილების დაბრუნებით თავის კერაში. და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ლტოლვილები დაბრუნდნენ. რუსეთის პრეზიდენტი ალბათ შეასრულებს თავის დაპირებას. – განაცხადა ილია II-მ.



პატრიარქი როგორც უკვე აღვნიშნეთ სამშობლოში დღეს ჩამოვა. ვიზიტის შესახებაც უფრო დეტალურად ისაუბრებს. მის ჩამოსვლამდე კი ამ ვიზიტს პოლიტიკოსები აფასებენ.

პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მოსკოვში ილია II-ის ჩასვლის წინააღმდეგი იყო. მათი აზრით, ასეთი ვიზიტებით საქართველო ვერაფერს მოიგებს. მეორე ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ შედეგი ნელა, მაგრამ აუცილებლად დადგება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე სასწაულს არ ელოდება. ამასთან მოხარული იქნება თუ ეკლესია დევნილების დაბრუნების პროცესში ჩაერთვება.

– ზოგადად, ეკლესიას ყოველთვის ისტორიულად ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის პრობლემების მოგვარების საკითხში, პოლიტიკურ ჭრილში. ამ შემთხვევაში თუ ეკლესიებს შორის ურთიერთობა ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრას და ადამიანების დაბრუნებას აფხაზეთში და დევნილების დაბრუნებას, რა თქმა აუნდა, ეს მნიშვნელოვანია, თუმცა რელიგიური ნიშნით დაყოფა მაინც საფრთხილოა, იმიტომ რომ ყველა დევნილს მიუხედავად თავისი რელიგიური მრწამსისა, უფლება აქვს დაბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილზე და ეს პროცესები ადრე თუ გვიან, უნდა დაიწყოს და ეს არის ჩვენი ამოცანა. თუ ეკლესია შეასრულებს დადებით როლს ამ ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მე ხაზს ვუსვამ ორივე ქვეყნის ეკლესიებს. ეკლესიებს შორის ურთიერთობაში სახელმწიფო არ ჩაერევა:

ეს არის ძალიან ფაქიზი თემა და ალბათ, აქ ძალიან ფაქიზად უნდა მიუდგეს პოლიტიკური სპექტრი ამ ყველაფერს, იმიტომ რომ ეს არის რელიგიური საკითხები, ეკლესიებს შორის ურთიერთობა არის მათი ავტონომიური საკითხი. სახელმწიფო და ეკლესია არის ცალ-ცალკე სუბიექტები. ჩვენ არ ვერევით ეკლესიის საქმიანობაში, როგორც ეკლესია არ ერევა, ამიტომ ამ შემთხვევაში ძალიან ფაქიზი უნდა ვიყოთ ჩვენ და ფრთხილი უნდა ვიყოთ, უფრო სწორად, ამ შეფასებებში. ზოგადად, ის რომ ამ თემებზე საუბარი შედგა, ძალიან მნიშვნელოვანია, – განუცხადა ჟურნალისტებს მანან კობახიძემ.

ილია II იმედოვნებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი თავის სიტყვას შეასრულებს. რამდენად სიტყვის კაცია პრეზიდენტი პუტინი ამას დრო გვიჩვენებს. მისგან განსხვავებით რუსული ეკლესია დანაპირებს ასრულებს. რუსეთის პატრიარქი ილია II-ს დაპირდა, რომ ისინი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას არ აღიარებდნენ. რუსეთის ეკლესიას არც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ ულიარებია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსი სასულიერო პირები იქაური ეკლესიის საქმეებში არ ერევიან.

ამის ნათელი დადასტურება ახალ ათონში მომხდარი ინციდენტი გახლავთ. აქ მონასტრის წინამძღოლად რუსეთის პატრიარქმა დანიშნა რუსი სასულიერო პირი. ამან მინასტერში დიდი ამბები გამოიწვია. აფხაზი სასულიერო პირების ერთმა ნაწილმა მონსტრის ტერიტორიაზე აქციაც კი მოაწყო. ეს დაპირისპირება საბოლოოდ აფხაზეთის ეკლესიის ორად გაყოფით დასრულდა.

# ალეკო შალამბერიძე: „ქართული ოცნება ნაციონალური მოძრაობა-2 გახდა“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობის მეთაური ბიძინა ივანიშვილი მაჟორიტარებით უკმაყოფილოა. გასულ კვირაში მან მაჟორიტარებს შეუთვალა, თავს ფეოდალებად ნუ ჩათვლითო. ამის გარდა პრემიერმა არც მაჟორიტარული სისტემის გაუქმება არ გამორიცხა. ივანიშვილს ეს განცხადება ბევრმა მოუწონა. პრემიერს მოსაზრება პარტია „თავისუფალმა საქართველომაც“ შეუქო. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ილაშქრებდა მაჟორიტარული სისტემის წინააღმდეგ და მათ პატარა ტირანუკებს ეძახდა.

ის კმაყოფილია რომ ივანიშვილმაც დაინახა მაჟორიტართა ნამდვილი სახე. ამასთან ამბობს, რომ პრემიერი მინისტრებს და დეპუტატებს როგორც პატრონი ყმას ისე ექცევა. რატომ არის „ქართულ ოცნებაში“ პატრონ-ყმური დამოკიდებულება, ვის და რატომ გადაახიეს თავზე ხელმოწერილი მემორანდუმი, რითი დაემსგავსა ოცნება ნაციონალურ მოძრაობას ამის შესახებ ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– თქვენი აზრით რატომ შემოსწყრა ივანიშვილი მაჟორიტარებს, განაცხადა რომ ისინი ფეოდალებს დაემსგავსნენ და ამ სისტემის გაუქმება არ გამორიცხა.***

– ივანიშვილის მიერ გაკეთებული ბევრი განცხადება არ მომწონს, ამ შემთხვევაში კი სრულიად ვეთანხმები პრემიერს. ოღონდ ერთ შესწორებას შევიტან, მაჟორიტარებს ფეოდალებად კი არ წარმოუდგენიათ თავი, მართლა ფეოდალები არიან! ეს მახინჯი ფორმა უნდა გაუქმდეს. ეს ფორმა არის საქართველოს დაღუპვა. იმედია პრემიერი მხოლოდ განცხადებას არ დასჯერდება და ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯები გადაიდგმება.

***– რა ნაბიჯენი უნდა გადაიდგას ამ სისტემის გასაუქმებლად ან შესაცვლელად?***

– ძალიან კარგია ასე მალე რომ აეხილა ივანიშვილს თვალი. მე არ ვიცი რას მოიფიქრებს „ქართული ოცნება“. ერთ რამეში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოში კომუნისტური ტიპის მაჟორიტარული არჩევნები აღარ უნდა ჩატარდეს. მაჟორიტარების, ამ ტირანების და ფეოდების პარპაში უნდა დასრულდეს საქართველოში!

***– გასაგებია რომ თქვენ არ მოგწონთ მაჟორიტარული სისტემა, მაგრამ რამდენად გამართლებულია როცა ამაზე პრემიერი საუბრობს. მისი განცხადების შემდეგ ლამის მთელი „ქართული ოცნება“ მაჟორიტარების ფეოდალობაზე ღაღადებს.***

– სხვას რას ელოდით? გეგონათ რომ გამოვიდოდნენ და განსხვავებული პოზიციების დაფიქსირებას დაიწყებდნენ? ბევრ მათგანს ძალიანაც აწყობს მაჟორიტარობა, მაგრამ რაკი პრემიერმა თქვა დადგნენ და თავადაც ამას იმეორებენ. კიდევ ვამბობ, არ მომწონს მაჟორიტარული სისტემა, მაგრამ არც ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება მომწონს.

***– რას უწუნებთ ამ დამოკიდებულებას?***

– იმას ვუწუნებ, რომ ივანიშვილის და მეოცნებეების დამოკიდებულება პატრონის და ყმების ურთიერთობას დაემსგავსა.

***– გინდათ თქვათ, რომ მეოცნებე დეპუტატები ივანიშვილის ყმები არიან?***

– პირდაპირი მნიშვნელობით ყმები, რა თქმა უნდა, არ არიან. მაგრამ ისიც ფაქრია რომ პრემიერი არის მათი პატრონი. და რასაც ბიძინა იტყვის, მათთვის ყველაფერი კანონია. მე სხვაგვარ დამოკიდებულებას არც ველოდი. გასული წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება მთლიანად ივანიშვილის დამსახურებაა და ამას ვერავინ უარყოფს. ძალიან ცუდია ასე რომ მოხდა.

***– რა არის ცუდი „ქართულმა ოცნებამ“ რომ მოიგო არჩევნები?***

– „ქართულ ოცნებას“ არჩევნები რომ არ მოეგო დღეს ყველანი ვიქნებოდით ციხეში. ადრეც არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, ივანიშვილმა ნაციონალების დამარცხებით ქვეყანას და ხალხს დიდი სამსახური გაუწია. მან ელემენტარულად უამრავი ადამიანი გადაარჩინა. ცუდი ის არის, რომ მეოცნებე მაჟორიტარებს არჩევნების მოგებაში თავისი წვლილი არ შეუტანიათ, ეს არის თავიდან ბოლომდე ივანიშვილის დამსახურება. და ახლა ამიტომაც არის რომ მათ შორის პატრონ-ყმური დამოკიდებულებაა. ასეთი დამოკიდებულება მე პირადად ძალიან მაწუხებს.

***– თავად მეოცნებეებს თუ აწუხებთ ნეტავი?***

– აბა რა გითხრათ. მაჟორიტარებში ბევრია გამოცდილი კადრი. ისინი ჯერ შევარდნაძის მაჟორიტარები იყვნენ, მერე სააკაშვილის, ახლა კი ივანიშვილის არიან. მათ ახალ პატრონთან შეგუება ნამდვილად არ გაუჭირდებათ.

***– თქვენი აზრით ასეთი დამოკიდებულებით ივანიშვილი ბოროტად სარგებლობს?***

– არც უმაგისობაა, ივანიშვილი დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს უყურებს როგორც პატრონი და ვერც გაამტყუნებ, ეს კაცი რეალურად არის მათი პატრონი. მესმის რომ ნაციონალების სახით კარგი ჭირი მოგვაშორეს, მაგრან არც პატრონყმის იმედად შეიძლება ყოფნა. ასეთი დამოკიდებულება უნდა დამთავრდეს.

***– როგორ უნდა დამთავრდეს?***

– ქვეყანაში უნდა დამყარდეს რეალური დემოკრატია. ამისათვის არასაპარლამენტო ოპოზიცია და კონკრეტულად ჩვენი პარტია მუხლჩაუხრელად მუშაობს. საზოგადოებამ იცის რა ამბებია საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. ვხედავთ რა პროცესები მიდის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის ირგვლივაც. მეოცნებეებმა იმის მაგივრად რომ საქმეს მიხედონ დაგვიწყეს რაღაცეების დაბრალება.

***– რას გაბრალებენთ?***

– ამბობენ რომ თითქოს ჩვენ გვინდა დაფინანსება.

***– რატომ ამბობთ რომ გაბრალებენთ, თქვენ ხომ მართლაც ითხოვთ დაფინანსებას?***

– ვითხოვთ იმიტომ რომ გვჭირდება. სხვების არ ვიცი, მაგრამ პარტია „თავისუფალი საქართველო“ მთელი ეს პერიოდი არ გაჩერებულა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ამომრჩეველთან მისასვლელად გვჭირდება თანხა. არ გვინდა რომ ვილაცაზე ვიყოთ დამოკიდებული. დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას ფული სჭირდება. ამიტომაც ვითხოვთ თანხებს ბიუჯეტიდან. ამის გარდა ჩვენ ვითხოვთ ამომრჩეველთა სიების საბოლოო დადგენას. უნდა შეიცვალოს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი. ასევე შესაცვლელია საარჩევნო კამპანიის დაფინასების წესი. საჭიროა დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესების შეცვლა. აი, ეს საკითხებია, რომლებსაც „თავისუფალი საქართველო“ აყენებს. ეს მოთხოვნები ჯერ კიევ მაშინ წამოვწიეთ ვიდრე ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა. ამ მოთხოვნებს ხელს 20 პოლიტიკური პარტია აწერს. მათ შორის არიან ის 6 პოლიტიკური პარტია, რომლებიც ახლა საპარლამენტო უმრავლესობაში იმყოფებიან.

***– და ახლა რას ამბობენ?***

– რას ამბობენ კი არა თავზე გადაგვახიეს ეს მემორანდუმი. ამიტომაც არის რომ ასე ვიბრძვით.

***– როდემდე აპირებთ ბრძოლას?***

– სანამ მიზანს არ მივაღწევთ. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას არ დაემსგავსოს.

***– არის ამისი საფრთხე?***

– როგორ არ არის. თუ დროზე არ შევაჩერეთ შესაძლოა ნაციონალებს გაასწრონ. და თუ ასე მოხდა მაშინ საქართველო კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩავარდება, ვიდრე ეს ნაციონალებმა ჩაგვაგდეს.

***– არადა ხალხი ამბობს იმაზე უარესი რა უნდა დაგვმართონ, რაც ნაციონალებმა გვიქნესო.***

– 2003 წელსაც ამბობდნენ, შევარდნაძეზე უარესი რა უნდა დაგვმართონო და შევარდნაძე სანატრელი გაგვიხდა.

***– თქვენი აზრით ნაცმოძი სანატრელი გაგვიხდება?***

– იმედი მაქვს, რომ არა. ეს რომ არ მოხდეს დროზე უნდა შრვაჩეროთ ხელისუფლება. ძალაუფლება ძალიან ცვლის ადამიანს.

***– ამბობთ ნაციონალებს ემსგავსებიანო და კოჰაბიტაციის ბრალი ხომ არაა, არის ქართული ანდაზა ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესაო. ასე დაემართათ მეოცნებეებსაც?***

– სამწუხაროა რომ ოცნება ნელ-ნელა ხდება ნაციონალური მოძრაობა 2. არადა ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის პირობით მოვიდნენ. ყველა დამნაშავის დასჯას აპირებდნენ. ახლა კი თავად იგივეს აკეთებენ რის გამოც ნაციონალებს საყვედურობდნენ. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საარჩევნო კოდექსს არ ცვლიან. არადა ცოტა ხნის წინ თავად უჭერდნენ მხარს მის შეცვლას. ეს ადასტურებს იმას რომ მათაც გაუტკბათ ხელისუფლებაში ყოფნა. ამიტომაც საკუთარ ტყავზე მოირგეს საარჩევნო კოდექსი.

***– თავად მეოცნებეები ამბობენ რომ არჩევნებში გამარჯვება ისედაც გარანტირებული აქვთ და კოდექსის მორგება არაფერში სჭირდებათ.***

– თუ არ სჭირდებათ მაშინ რატომ არ ცვლიან ამ კანონს? მოეწონათ ხელისუფლებაში ყოფნა? ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტეს ეს კოდექსი მოირგონ, რათა რაც შეიძლება დიდი ხანი დარჩნენ ხელისუფლებაში.



***– ამით რისი თქმა გინდათ, რომ მათ არჩევნების მოგება გაუჭირდებათ და ამიტომ არ ცვლიან კოდექსს?***

– რა თქმა უნდა გაუჭირდებათ!

***– ამას მხოლოდ იმიტომ ამბობთ, რომ კოდექსში ცვლილებები არ შეაქვთ?***

– საქართველოში ის მუხტი აღარ არის რაც იყო გასულ წელს. შარშან ყველას ნაციონალების დამარცხება უნდოდა. იმედი ჰქონდათ რომ ამით სამართლიანობა აღდგებოდა. არჩევნებიდან გავიდა 10 თვე, სამართალიანობის აღდგენა კი არ ხდება. ამის ნაცვლად მეოცნებეები დამნაშავე რეჟიმთან შედიან კოჰაბიტაციაში. პროკურატურაში ათასობით სარჩელია შესული, არ ხდება მათი განხილვა. ხალხი წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს. პროკურატურაში არის ნამდვილი ვაკხანალია. ამის მიზეზი არის არჩილ კბილაშვილი. რომელიც გამოდგა ძალიან სუსტი პროკურორი.

***– რატომ არის კბილაშვილი სუსტი?***

– იმიტომ რომ ვერ გაერკვა რა ხდება და როგორ ხდება. პროკურატურაში პროფესიონალები ფაქტიურად არ არიან. ასეთ პირობებში რა სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი? ელემენტარული საქმეებს ვერ იძიებენ და სერიოზული დამნაშავეები როგორ უნდა დაიჭირონ არ ვიცი. არა მგონია ამათ სააკაშვილსა და მერაბიშვილს პასუხი მოსთხოვონ.

***– მერაბიშვილი ხომ ზის უკვე ციხეში?***

– მერე რა რომ ზის. მთელი ევროპარლამენტი მაგის წონას აკონტროლებს. ტელევიზორი მოითხოვა და შეუტანეს. არ გამიკვირდება ცოტა ხანში „დინამოს“ სტადიონზე მიიყვანონ და ფეხბურთი აყურებინონ.

***– მერაბიშვილს არ უყვარს ფეხბურთი, ამდენად მისთვის სასჯელი იქნება ფეხბურთზე წაყვანა.***

– სხვა რამეს მოიფიქრებს და ესენიც დაუყოვნებლივ შეუსრულებენ. არც ის გამიკვირდება მალე გაუშვან პატიმრობიდან. ვერაფერს ვერ აკეთებენ, ამას ხალხიც გრძნობს და თავად იღებს გარკვეულ ზომებს.

***– კვერცხების სროლა გაქვთ მხედველობაში?***

– ეგ მაქვს მხედველობაში. ხელისუფლების უმოქმედობის ბრალია ის რაც ზუგდიდში, ბათუმში და თბილისში მოხდა.

***– ნაციონალები ამბობენ რომ ამის უკან ხელისუფლება იდგა.***

– ხელისუფლება რომ მდგარიყო ამის უკან ხალხი ნაზი, კოჰაბიტაციური პროტესტით შემოიფარგლებოდა. ეს პროტესტი გამოხატა თავად ხალხმა. იმ ხალხმა, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა ციხეებში აწამა და ცხოვრება დაუნგრია. ამ ხალხს სამართლიანობის აღდგენას დაპირდნენ, პირობა არ შეუსრულეს და ნაციონალებისთვის კვერცხის სროლისთვის იქეთ აპატიმრებენ.

***– აბა რა ქნას ხელისუფლებამ მიუშვას ეს ხალხი თავის ნებაზე, ასე ხომ უბედურება დატრიალდება?***

– ქართველი ხალხი ძალადობისკენ მიდრეკილი ერი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაციონალები საქართველოში ველარ გაჩერდებოდნენ. და ახლა კვერცხის სროლაც აღარ შეიძლება მათთვის? მაგათ გულისთვის ლამისაა ცოცხები ამოიღონ გაყიდვიდან. თუ არ უნდათ რომ ხალხმა იკისროს სამართლიანოვბის აღდგენა თავად გააკეთონ ეს.

# გიორგი მარგველაშვილი დებატებისთვის მზადაა

## დებატები და საარჩევნო კამპანია უნდა წარიმართოს მშვიდობიანად, ყოველგვარი ბოთლებისა და ქვების სროლის გარეშე

ნათია ხურცილავა

27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. წინასაარჩევნო კამპანია კანდიდატების უმრავლესობამ უკვე გახსნილად გამოაცხადა. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ნაწილი ჯერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებული არ არის. თუმცა, მსგავსი განაცხადის არ გაკეთება ხელს არ უშლის კანდიდატებს, რომ თავიანთ ამომრჩეველთან შეხვედრები აწარმოონ. ოფიციალურად წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე საერთაშორისო საზოგადოება, ამერიკის შეერთებული შტატები სწორედ ამ პერიოდზე ამახვილებენ ყურადღებას. არჩევნების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სწორედ წინასაარჩევნო პერიოდს ეთმობა.



კონკურენტუნარიანი საარჩევნო კამპანია დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ნაწილია.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი აცხადებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, გაიმართოს დებატები და კამპანია წარიმართოს მშვიდობიანად, ყოველგვარი ბოთლებისა და ქვების სროლის გარეშე. შეერთებული შტატები და საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით დააკვირდება წინასაარჩევნო კამპანიას, – ასეთია ამერიკის ელჩის განცხადება.

წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო კოალიცია „ქართული ოცნების" კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა. ის უკვე ხვდება მოსახლეობას და მთავარ გზავნილებსაც აკეთებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საპრეზიდენტო მარათონი ჯერ „გახურებული" არ არის. შესაბამისად, კანდიდატების აქტივობაც არც ისე მრავალფეროვანია. თუმცა, ნაციონალური მოძრაობის პრაიმერში გამარჯვებულმა კანდიდატმა დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილი უკვე გამოიწვია ტელედებატებში. როგორც ჩანს, ბაქრაძე სწორედ მარგველაშვილს განიხილავს მთავარ კონკურენტად და ამიტომაც სთავაზობს საჯარო დებატებს.

დავით ბაქრაძეს პასუხობს გიორგი მარგველაშვილი. თუმცა, მარგველაშვილი ყველა კანდიდატის ერთ პოზიციაში ჩაყენებაზე მიუთითებს.

კოალიცია „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის განცხადებით, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები ისეთ ფორმატში ჩატარდება, რომელშიც თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ყველას მიეცემა.

სწორედ ასე გამოეხმაურა მარგველაშვილი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატს დავით ბაქრაძეს, რომელმაც „ქართული ოცნების" კანდიდატთან დებატებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

– აუცილებელია „ქართული ოცნების" კანდიდატმა დაამტკიცოს, რომ მისი მთავარი ღირსება არაა მხოლოდ პრემიერთან პირადი მეგობრობაა, – ასე მიმართა ბაქრაძემ მარგველაშვილს.

მეტოქის გამოწვევას მარგველაშვილი აუღელვებლად პასუხობს.

– რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატმა დებატები მოინდომა. ეს ნორმალურია. დებატები ისეთ ფორმატში ჩატარდება, რომელშიც ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა მიეცემა. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ „ქართული ოცნება" ამ ნაწილში დაიცავს ერთიან სტანდარტს. პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა ყველას ექნება, – განაცხადა მარგველაშვილმა.

როგორი იქნება საპრეზიდენტო კანდიდატების დებატები, ჯერ უცნობია. ასევე უცნობია, რა სტრატეგიით წარდგებიან ელექტორატის წინაშე კანდიდატები.

გუშინ რამადანი მიულოცა საქართველოს მოქალაქე მუსულმანებს გიორგი მარგველაშვილმა. სწორედ იქ გააკეთა კომენტარი ჟურნალისტებთან მარგველაშვილმა კანდიდატების დებატებთან დაკავშირებით.

ქვემო ბოლნისის მოსახლეობამ გიორგი მარგველაშვილი რამადანის თვის დაწყებასთან დაკავშირებით სადღესასწაულო საპატიო სუფრაზე – იფტარზე მიიწვია.

– ჩემო ძვირფასო თანამოქალაქენო, ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ლაღი და თავისუფალი, ერთიანი და ძლიერი საქართველო, რაშიც თქვენი სიბრძნის და მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს, – ასე მიმართა მათ მარგველაშვილმა.

# გიორგი თარგამაძე: „ივანიშვილმა და უმრავლესობამ ანტიდემოკრატიული სახე წარმოაჩინეს"

საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ და „ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობამ თავიანთი არადემოკრატიული სახე საარჩევნო კოდექსში მხოლოდ იმ ცვლილებების შეტანით წარმოაჩინეს, რომელიც მხოლოდ მმართველ პარტიას და ნაცმოძრაობას აძლევს ხელს.

მან ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. თარგამაძის თქმით, ივანიშვილის მთავრობა მთელი დანარჩენი ოპოზიციიდან არავის ინტერესებს არ ითვალისწინებს. ხელისუფლებამ თავისი ანტისოციალური პოლიტიკაც გამოავლინა. ეს იმით გამოიხატა, რომ პარლამენტმა საქართველოში საარსებო მინიმუმის დაანგარიშების წესის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვაზე ქრისტიან-დემოკრატების საკანონმდებლო წინადადებაზე უარი თქვა.

„ბატონი ბიძინა ივანიშვილი ძალიან ხშირად ახსენებს იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი და ნაცმოძრაობა წლების განმავლობაში მთელ ქართულ საზოგადოებას ტყუილში ამყოფებდნენ. მინდა შევახსენო პრემიერ-მინისტრს, რომ ამ ტყუილის ნაწილი სწორედ ის არის, რომ ერთი სრულწლოვანი მოქალაქის საარსებო მინიმუმად 140-150 ლარია განსაზღვრული. მზად ვარ, ნებისმიერ შეხვედრაზე ქართველ და უცხოელ სპეციალისტებსა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ობიექტური კრიტერიუმებით გაანგარიშებისათვის და დავამტკიცებ, რომ საქართველოში საარსებო მინიმუმი 250 ლარზე ნაკლები არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს", -– განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

მისი თქმით, ვიდრე ძველის მსგავსად, ახალი მთავრობაც მოსახლეობის მდგომარეობის გამრუდებულ სოციალურ სარკეში აღქმას და ყურებას გააგრძელებს, სამართლიანი, ობიექტური, ხალხისა და ქვეყნის სოციალურ ინტერესებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა არ გვექნება. საპენსიო და სოციალური პოლიტიკა ნებისმიერ ქვეყანაში იმის მიხედვით ყალიბდება, თუ როგორია საარსებო მინიმუმი.

მედიანიუსი

# არასამთავრობოები დავით ჭაკუას ექსტრადიციის დაჩქარებას ითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება," დავით ჭაკუას ექსტრადიციის დაჩქარების მოთხოვნით მთავარ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს:

„მოგმართავთ, რომ არ დაუშვათ პატიმრების წამებაში და არაადამინურ მოპყრობაში ბრალდებულ დავით ჭაკუას მიერ ქართული მართლმსაჯულებისგან თავის არიდება.

ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება" მოუწოდებს ყველა უფლებადაცვით ორგანიზაციას, მხარი დაუჭირონ ინიციატივას და საჯაროდ გამოხატონ თავიანთი პოზიცია.

მოვითხოვთ, დავით ჭაკუა ექსტრადირებულ იქნეს საქართველოში, წარსდგეს ქართული სასამართლოს წინაშე და პასუხი აგოს ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც ხდებოდა მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს. მას უამრავი პატიმარი სდებს ბრალს წამებაში და არაადამიანურ მოპყრობაში. ქვეყნიდან მისი გაქცევა, ისევ და ისევ ადასტურებს იმას, რომ იგი ფლობს გამოძიებისთვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, რომელიც ქართულ სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

აქედან გამომდინარე, მივმართავთ შსს-ს და მთავარ პროკურატურას, მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში მოახდინონ დავით ჭაკუას ექსტრადირება" – აცხადებენ ორგანიზაციაში.

ნიუსპრესი

# საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია

მერი ნამორაძე

დედათა სიკვდილობის მაჩვენებლები საქართველოში კვლავ მაღალი რჩება. რამდენად შეძლებს ქვეყანა 2015 წლისათვის სამი-მეოთხედით შეამციროს დედათა სიკვდილობის მაჩვენებლები, არაერთ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, მათ შორის, თავად დედების განათლებასა და ინფორმირებულობაზე, ქვეყნის განვითარების დონეზე და სამედიცინო პერსონალის მზაობაზე, სათანადოდ მართოს ორსულობა-მშობიარობის გართულებული შემთხვევები.

დონორი ორგანიზაციები საქართველოში დედათა ჯანმრთელობის მდგომარეობის კლევისას სწორედ ამ უკანასკნელზე ამახვილებენ ყველაზე მეტად ყურადღებას. როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში ამბობენ, საქართველოში ყოველწლიურად იღუპებიან ქალები და ახალშობილი ბავშვები მშობიარობით გამოწვეული გართულებებისაგან. ამ ფატალურ შემთხვევებს ხელს უწყობს ჯანდაცვის პროვაიდერთა არასაკმარისი უნარი, აღმოაჩინონ და მართონ გართულებები და სათანადო მომსახურება გაუწიონ ქალებსა და მათ ახალშობილ შვილებს. ფეხმძიმობით და მშობიარობით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შესამცირებლად გადამწყვეტია, რომ ხარისხიანი მომსახურება ეფექტიანად იქნეს გაწეული შინამეურნეობიდან რეფერალურ ცენტრამდე და მოიცავდეს დედათა და ახალშობილთა ყველა სახის მომსახურებას, მათ შორის ფეხმძიმობასთან დაკავშირებული გართულებების დროულ აღმოჩენას და სათანადო მართვას. ამგვარი მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ქალისა და მისი ახალშობილი ბავშვისათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილის, ფეხმძიმობისა და მშობიარობის გარემოებებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა.

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, დედის გარდაცვალების თითოეული შემთხვევის განხილვისას ერთ-ერთ მიზეზად ხშირად მშობიარის დაგვიანებული გადაყვანა სახელდება მაღალი დონის კლინიკაში. ასე რომ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით უზრუნველყოფილი ხელმისაწვდომობა მშობიარობაზე მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარებით თუ არ გამყარდა, სიკვდილობის ციფრების დაბლა დაწევა გართულდება.

***– ბატონო ამირან, დედათა სიკვდილობის მაჩვენებლების დინამიკაზე რას გვეტყვით, თუ კლებულობს გარდაცვალების შემთხვევები?***

– დედათა სიკვდილობა ჯანდაცვაში ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ინდიკატორია, რომელიც ლაპარაკობს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაზე და უფრო მეტად, ქვეყნის განვითარების დონეზე. საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ე.წ ათასწლეულის განვითარების მიზნებზე. ეს გახლავთ გაეროს ყველაზე დიდი დოკუმენტი, რომელსაც 2000 წელს 191-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი. ამ მიზნებში 8 მთავარი მიზანია, რომელთაგან სამი უკავშირდება უშუალოდ ადამიანის ჯანმრთელობას. ამ სამში კი ერთ-ერთი დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და კერძოდ, 2015 წლისთვის დედათა სიკვდილობის შემცირებაა სამი მეოთხედით 1990 წლის დონესთან შედარებით. ამიტომ ეს კაცობრიობის გლობალური მიზანია. ამასთან, ეს არ არის მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის პრეროგატივა. ეს მულტისექტორული საკითხია. დედათა სიკვდილობაში იგულისხმება ორსულობის მიზეზით გამოწვეული სიკვდილობა მშობიარობიდან 42 დღემდე. ამაში არ იგულისხმება სიკვდილობის ის შემთხვევები, რომელიც უკავშირდება ორსულობისას ავარიას, ძალადობრივ ტრავმას ან სხვა რამეს. 2000 წლიდან მოყოლებული, დინამიკას თუ გადავხედავთ საქართველოში, დინამიკა დადებითია. 2008 წელს დედათა სიკვდილობის მაჩვენებელმა ყოველ 100 ათასზე 7-ს მიაღწია. თუმცა 2009 წელს სერიოზული ზრდა მოხდა ამ ციფრის – 52-მდე, რაც აიხსნა იმ წელიწადს ღორის გრიპის პანდემიით. ამ ვირუსისთვის ერთ-ერთი სამიზნე სწორედ ორსული ქალბატონები იყვნენ. შემდეგ ისევ კლების დინამიკა წამოვიდა და 2012 წლის მაჩვენებელი გახლავთ ადრეული გარდაცვალების 13 და გვიანი გარდაცვალების 1 შემთხვევა.

***– გვიან გარდაცვალებაში რას გულისხმობთ?***

– გარდაცვალება დაფიქსირდა მშობიარობიდან 42 დღის შემდეგ.

***– ევროპის განვითარებულ ქვეყნებში რა ციფრები ფიქსირდება დედათა სიკვდილობასთან დაკავშირებით და ჩვენი სამიზნე რა არის 2015 წლისთვის, რა ციფრამდეა შესაძლებელი ამ მაჩვენებლის დაწევა?***

– საქართველოსთვის სამიზნე არის 16 შემთხვევა 2015 წლისთვის, რომელსაც, ალბათ, მივაღწევთ. ჩვენ გვირჩევნია, რომ ეს იყოს გაცილებით დაბალი. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, იქ დედათა სიკვდილობა, როგორც ასეთი, უიშვიათესი გამონაკლისია, ანუ თითქმის არ არის, სამ წელიწადში ერთხელ შეიძლება დაფიქსირდეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში კი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ბელორუსს. ჩვენ ამ ქვეყნებს შორისაც არ გამოვიყურებით კარგად. 2011 წლის მონაცემებით, ბოლოდან მესამე ადგილზე ვართ. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ სტატისტიკასთან დაკავშირებით ბევრი კითხვაა ხოლმე, განსაკუთრებით უცხოელ კოლეგებშიც.

***– რატომ, რეალურად მაღალი მაჩვენებლები ჰგონიათ?***

– ისინი ფიქრობენ და ამასთან დაკავშირებით ხშირი კონსულტაციები გვაქვს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, რომ ხშირად ციფრები არ შეესაბამება სინამდვილეს. 2005-06 წელს საქართველოში ჩატარდა ე.წ. რამოსის კვლევა, როდესაც სიკვდილობის სტატისტიკური მაჩვენებელი იყო 23, რამოსის კვლევამ აჩვენა 44. მაგრამ დღეს შემიძლია გითხრათ, რომ 2010 წლიდან მოყოლებული, კვლევების მონაცემები და ოფიციალური სტატისტიკის მონაცემი დაემთხვა ერთმანეთს. ეს ნიშნავს, რომ ოფიციალური სტატისტიკა უმჯობესდება. ამიტომ უკვე უნდა ვენდოთ ამ მონაცემებს. თუმცა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მაინც აკეთებს ხოლმე გადაანგარიშებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და გარკვეულ დანამატს უკეთებენ ხოლმე სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით – ეს არის სოციალური ფაქტორი, განვითარების ფაქტორი. ასე რომ, ვმუშაობთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, რომ სტატისტიკური აღრიცხვა მოწესრიგდეს ისე, რომ კვლევის მაჩვენებლები და სტატისტიკური მაჩვენებლები ერთმანეთს დაუახლოვდეს. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქვეყანაში. ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედებს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საბჭო, რომელიც რეგულარულად იკრიბება. თებერვლის თვიდან სამინისტროში დაიგეგმა ოპერატიული შეტყობინების სისტემა, რომელიც სხვადასხვა წყაროთი – სამშობიარო სახლი იქნება თუ სამედიცინო დაწესებულება, სასწრაფოდ ატყობინებს სამინისტროს დედის გარდაცვალების შემთხვევას. შემდეგ თითოეული შემთხვევა ცალკე განიხილება, შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება, რა ხარვეზები იყო და ასე შემდეგ. ჩვენთანაც, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ



ცენტრში არის ასეთი ელექტრონული სისტემა, ვაგროვებთ რუტინულ მონაცემებს, რომელიც ყოველთვიურად შემოდის იმ დაწესებულებებიდან, სადაც განლაგებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები. ამავდროულად გვაქვს ოპერატიული სტატისტიკა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი იღებს რეპროდუქციული ასაკის ქალის გარდაცვალების შეტყობინებას, ანუ 15-49 წლის ასაკის ქალბატონის გარდაცვალების შეტყობინებას. ყველა ეს შემთხვევა ხვდება ამ ელექტრონულ სისტემაში – ეს იქნება დედის გარდაცვალება თუ სხვა დაავადებით გამოწვეული გარდაცვალება.

***– ბატონო ამირან, კონკრეტულად რა მიზეზები სჭარბობს დედათა გარდაცვალების შემთხვევაში საქართველოში?***

– ყველაზე ხშირია პრეკლამპსია, პოპულარული ენით რომ ვთქვათ, მაღალი წნევით მიმდინარე დაავადება, რომელსაც იწვევს დაურეგულირებელი ჰიპერტენზია ორსულობის პერიოდში. მიზეზთა შორისაა ხელოვნური აბორტით გამოწვეული გარდაცვალება, ასევე სისხლდენა და ინფექციები. რაც შეეხება ასაკობრივ ჭრილს, გასულ წელს დედათა სიკვდილობის 43 პროცენტი მოდიოდა 24 წლამდე ასაკზე; 21 პროცენტი – 25-30 წელზე, 29 პროცენტი – 31-40 წლის ქალბატონებზე; 7 პროცენტი – 41 წელზე ზევით.

***– ბინაზე მშობიარობის შემთხვევები ხშირია?***

– არა, ხშირი არ არის, ერთეული შემთხვევები გვაქვს, თუმცა, მაინც არის. ზოგიერთი კონსულტაციაზეც კი არ მიდის.

***– ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენაა ბინაზე მშობიარობა, რატომ ენიჭება იქ ამას უპირატესობა?***

– იქ უკვე აწყობილია ასეთი სისტემა და ბებიების ძალზე მაღალკვალიფიციური კადრი ჰყავთ. ჩვენ სხვა სისტემა გვაქვს და მიჩნეულია, რომ გართულებების თავიდან ასაცილებლად ქალმა სამედიცინო დაწესებულებაში უნდა იმშობიაროს. ასეა ქვეყნების დიდ უმრავლესობაში.

# იპოთეკარების საკითხი წულუკიანმა ჩიხში შეიყვანა

გულიკო ბალაძე

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებული საკითხის ჩიხში მოქცევაში თეა წულუკიანს ადანაშაულებს. „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებულ პრობლემებს ბრიფინგი მიუძღვნა.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ცვლილებები „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონსა და „სამოქალაქო კოდექსში“, რომლის თანახმადაც 2014 წლის 1 თებერვლამდე იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე აღსრულების მექანიზმების განხორციელება ჩერდება.



ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა პარლამენტი იპოთეკით დატვირთული ქონების შესახებ კანონპროექტის განხილვისას უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ბანკებთან შეუთანხმებლად მსგავსი კანონპროექტის მიღება აბსოლუტურად გაუაზრებელი და აბსურდულია.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის პრობლემად ქცევა და პრემიერ ივანიშვილის და მთელი მთავრობის ჩიხში მოქცევა იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის დამსახურებაა.

— ჯერ კიდევ ხუთი თვის წინ პრემიერ-მინისტრმა თეა წულუკიანს დაავალა სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებდა. სამწუხაროდ, აღნიშნულ ჯგუფს არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ კერძო იპოთეკარებისგან დაზარალებული ათასობით ადამიანის მდგომარეობა გამოსწორებულიყო. არ აღნუსხულა, კერძო იპოთეკარებისგან რამდენი ადამიანია დაზარალებული და, კონკრეტულად, რა თანხაა საჭირო ამ ადამიანების პრობლემის მოსახსნელად; არ შექმნილა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც დაზარალებულ მოსახლეობასთან იმუშავებდა; არ დამდგარა იმ კერძო იპოთეკართა თაღლითური ჯგუფების პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინაც, როცა პროკურატურა წულუკიანის დაქვემდებარებაში იყო; არ დაწყებულა კონკრეტული მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელიც დაზარალებული მოსახლეობისთვის იქნებოდა გათვალისწინებული; არ დაწყებულა და არ განხორციელებულა მუშაობა კონკრეტული გეგმის მიხედვით, რომელიც პრობლემას მოხსნიდა, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე, — იმ სპეციალურ ჯგუფში, რომელიც იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა, არ შესულან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და თავად დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლები და არ მომხდარა პრემიერ-მინისტრის და მთავრობის სრული ინფორმირება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ასევე, „უფლებადამცველთა გაერთიანებას“ მიაჩნია, რომ სასამართლო რეფორმის ჩავარდნის, წულუკიანის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს პროკურატურაში განხორციელებული გაუგებარი გადაწყვეტილებების, კერძო იპოთეკარების პრობლემის ჩიხში მოქცევის და სხვა ბევრ გულგრილ და გაუგებარ გადაწყვეტილებებზე უნდა დაისვას იუსტიციის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი.

***— ბატონო ნიკოლოზ, რატომ ადანაშაულებთ კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს?***

— კერძო იპოთეკარების პრობლემის გადაუწყვეტლობაში ლომის წილი მიუძღვის იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, ვინაიდან ივანიშვილმა მას დაავალა, შეექმნა კომისია, რომელიც იმუშავებდა ამ პრობლემასთან დაკავშირებით. მან, საერთოდ, არაფერი გააკეთა.

***— კომისია არ შეიქმნა?***

— კომისია შეიქმნა, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებია. რეალურად, გაკეთდა მხოლოდ ის, რომ აღსრულების ბიურომ ერთი კლიპი გადაიღო, სადაც წერია, რომ მოუწოდებს კრედიტორებს, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას გაიაზრონ, რა ვითარებაში შეიძლება აღმოჩნდნენ. ის, ვინც მძიმე მდგომარეობაში უკვე ჩავარდა და ვისაც პრობლემა აქვს, იმაზე, საერთოდ, არ უმუშავიათ, არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

***— კლიპის გადაღება რა საჭირო იყო? კლიპი ხომ დამატებითი თანხები ჯდება?***

— კლიპი გადაიღეს და თითქოს ამით რაიმე საქმე გააკეთეს. სამაგიეროდ, არ აღნუსხულა კერძო იპოთეკარებიდან რამდენი ადამიანია დაზარალებული და კონკრეტულად რა თანხაა საჭირო ამ ადამიანების პრობლემის მოსახსნელად; არ შექმნილა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც დაზარალებულ მოსახლეობასთან იმუშავებდა; არ დამდგარა კერძო იპოთეკართა იმ თაღლითური ჯგუფების პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინ, როცა პროკურატურა წულუკიანის დაქვემდებარებაში იყო, ანუ წულუკიანმა ჩააგდო ის, რის ჩაგდებაც შეიძლებოდა. ჩვენ კარგად გვახსოვს წულუკიანის განცხადებები, სასამართლო რეფორმას განვახორციელებთ და რეალურად სულ სხვა სასამართლოს ვიხილავთო, მაგრამ ჩვენ ვხედავთ იგივე სასამართლოს, იგივე მოსამართლეებსა და იგივე მდგომარეობას. პროკურატურაში წულუკიანის პერიოდში უამრავი არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ერთი თვეა პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინისტროს. იქამდე პროკურატურაში რაც ხდებოდა, ისიც მისი დამსახურებაა. რაც კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებით ხდება, ესეც მისი დამსახურებაა. მეტი რაღა უნდა გააფუჭოს ამ ადამიანმა. რაც მთავარია, ვენეციის კომისიას გადასცა დოკუმენტი და მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის თაობაზე მუშაობა რომ დაიწყო, რეალურად, ვერ ველირსეთ კომისიის ამოქმედებას, რომელიც იმუშავებს უკანონოდ გასამართლებულებთან დაკავშირებით. კერძო იპოთეკარების საკითხზე წულუკიანი, როგორც ჩანს, უფრო ბანკების პოზიციას იკავებს და იმის ბრალია, რომ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

***— თეა წულუკიანის პოზიცია იცით?***

— მისი პოზიცია მის ქმედებაში გამოიხატება, რომ ის არაფერს არ აკეთებს. კერძოდ, წულუკიანის პოზიცია მის უმოქმედობაში აისახება, რომ არაფერი გააკეთა. ეტყობა, ის ლობირებს ბანკების პოზიციას. ეს ხალხი უმძიმეს მდგომარეობაშია. ჩვენ ფეხით მოვიარეთ საქართველოს თითოეული კუთხე. ვიყავით ბათუმში, ქობულეთში, ქუთაისში და ყველგან შევხვდით დაზარალებულ მოსახლეობას. თვითონ კაბინეტის გარეთ არ გამოსულა. მისი უპასუხისმგებლო მოადგილეები ღებულობდნენ ამ ხალხს და ისტუმრებდნენ უაზრო პასუხებით. რეალურად, ამ ადამიანმა რა უნდა გააკეთოს კიდევ, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს? პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც 2014 წლის 1 თებერვლამდე იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე აღსრულება ჩერდება. შემდეგ გამოვიდა პრემიერ-მინისტრი და თქვა, რომ ეს ჩემთან და ბანკებთან შეთანხმებული არ იყოო. რეალურად, ამ საკითხის ჩიხში შეყვანაში თეა წულუკიანს მიუძღვის წვლილი. ის ამ პრობლემატიკაზე არ მუშაობს. რას აკეთებს ეს ადამიანი, ვერ ვხვდები.

***— ბატონო ნიკა, იუსტიციის მინისტრს ძალიან რომ აკრიტიკებთ, რეალურად შესაძლებელია ბანკების პოზიციის გათვალისწინების გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა? ის გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტმა ერთი მოსმენით უკვე მიიღო, ბანკების საქმიანობას არ დააზარალებს?***

— ეს საკითხი ისე უნდა გადაწყვეტილიყო, რომ ეს წინააღმდეგობა არ წარმოშობილიყო. ჩვენ გვქონდა სქემა, რომლის თანახმადაც უნდა გაცემულიყო გრძელვადიანი სესხები დაბალ პროცენტში, რაც გადაწყვეტდა ამ პრობლემას.

***— კიდევ დამატებით სესხები უნდა მიეცათ?***

— კიდევ დამატებით... ის ხალხი ფულს მაინც ვერ იხდის. ეს მარტო აქ კი არ გაკეთებულა, ამერიკაში სულ აპატიეს მოვალეებს. ევროპაშიც გადაწყვიტეს ეს საკითხი.

***— ამერიკასა და ევროპაში ბანკები უფრო ძლიერებია.***

— საქმე ისაა, რომ ეს საკითხი არ შეუსწავლიათ და ვარაუდით ლაპარაკობენ. არავინ იცის, ზუსტად რამდენი დაზარალებულია და რა თანხებზეა საუბარი.

***— თქვენ ხომ არ გაქვთ დათვლილი, რა თანხებზეა საუბარი?***

— რამდენი ადამიანია დაზარალებული, რომ აღრიცხო, ამას რესურსი სჭირდება.

***— თვითონ ბანკებმა ხომ იციან, რამდენი ადამიანი ვერ იხდის?***

— მხოლოდ ბანკები არ არის, კერძო იპოთეკარებიც არიან. მათ კი არაფერი გაუკეთებიათ საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად.

# „ტრაქტორების შეჯიბრი“ და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებული მეცნიერებათა დოქტორები

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 22 ივლისს განცხადება გააკეთა, რომლითაც საიას 11 ივლისის პრესკონფერენციას გამოეხმაურა. მეორე დღეს, 23 ივლისს შსს-მ განცხადება გაავრცელა და მორიგი კადრების ჩვენება მოაწყო ტრაქტორების შეჯიბრით.

ე. წ „ტრაქტორების საქმე“ კიდევ ერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ქვეშ.

*„2013 წლის 11 ივლისს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე, „მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ტრაქტორების შეძენისათვის განკუთვნილი სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის საქმეში ბრალდებულმა მამუკა ივანიაძემ განაცხადა, რომ სასურველი ინფორმაციისა და აღიარების მიღების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომელთა მიერ მასზე სისტემატურად ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზემოქმედება.*

*აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება და, საქმის რეზონანსულობიდან გამომდინარე, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის წინაშეც პირველ ეტაპზე დაისვა ორი ძირითადი საგამოძიებო ამოცანა, სახელდობრ:*

*წარმოადგენდა თუ არა ივანიაძის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ცრუ ჩვენებას და მეორე, დარღვეული იყო თუ არა მისი მოპოვებისას საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესები.*

*გამოძიების შედეგად ამომწურავად გაეცა პასუხი ორივე კითხვას, კერძოდ, უდავოდ დადასტურებულია, რომ ტრაქტორების შესყიდვის საქმეზე ივანიაძის მიერ გამოძიებისათვის ჩვენება მიცემულია საკუთარი ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში, დამოუკიდებლად, უშუალოდ მისი სურვილით, ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო ზეგავლენის გარეშე და, მასში ასახული ყველა ფაქტობრივი გარემოება შეესაბამება სიმართლეს.*

*მათი ნამდვილობა და უტყუარობა კი, ამ ჩვენებისაგან დამოუკიდებლად დადგენილია ათეულობით მოწმის ჩვენებებით, ამოღებული დოკუმენტებით, ნივთიერი, მათ შორის ვიდეო და სხვა ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით.“* — ნათქვამი იყო პროკურატურის განცხადებაში.



**პროკურატურის განცხადებას,** მეორე დღესვე მოჰყვა **შსს-ს** -ს რეაქცია, ახალი ბრალდება და ვიდეომასალა ტრაქტორების შეჯიბრით.

კომპანია „ზეტორის“ საქართველოს წარმომადგენლობის მენეჯერს, ბრალდებულ გივი ქაიხოსროშვილს წარედგინა ახალი ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვაში წაქეზების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წაქეზების, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციასა და ექსპერტებზე ზემოქმედების განხორციელებისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ბრალდების წარდგენას საფუძვლად დაედო საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებებით მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, მათ შორის საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგი, რომელიც ჩატარდა შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზების სართიჭალის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე 2013 წლის 17 ივლისს.

**საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად:** „ZETOR PROXIMA POWER 120“ მარკისა და „NEW HOLLAND TD5 110“ მარკის ტრაქტორების ურთიერთშედარებით დადგინდა, რომ ექსპერიმენტის ოთხივე კომპონენტში, რაც მოიცავდა: საცდელი ხნულების გატარებას, მიწის მოხვნას, ხნულების სიღრმესა და მოხვნის დროს „NEW HOLLAND TD5 110“ მარკის ტრაქტორმა მოიპოვა აბსოლუტური უპირატესობა. ექსპერიმენტის მიმდინარეობამ, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოცდილების მქონე მექანიზატორები, ცხადყო, რომ „ZETOR PROXIMA POWER 120“ მარკის ტრაქტორმა შეფერხებით შეასრულა მიწის სამუშაოები.

ამ განცხადებებიდან ერთი კვირის თავზე, 28 ივლისს, მოულოდნელად, კვირა დღეს, საქალაქო სასამართლოში სასამართლო პროცესი გაიმართა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, რომელიც ეხებოდა შპს „მექანიზატორის“ საქმეზე დაკავებულ ორ პირს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორებს — **ოთარ ქარჩავას** და **ზაზა მახარობლიძეს**.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დააყენა. პროკურორის განცხადებით, „რადგან საგამოძიებო მოქმედებები უკვე ამოწურულია და არ არსებობს მტკიცებულებების განადგურების საშიშროება, აქედან გამომდინარე აღნიშნული პირები ხელს არ შეუშლიან გამოძიებას, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს აღკვეთი ღონისძიების შეცვლას“.

ზაზა მახარობლიძის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს მოსამართლე ლია ორკოდაშვილი იხილავდა. მან პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, მაგრამ ცვლილებით. მოსამართლის გადაწყვეტილებით პროკურატურის მოთხოვნილი 5 000 ლარიანი გირაოს ნაცვლად მახარობლიძეს 3500 ლარის გირაო შეეფარდა.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა ამავე საქმეში მონაწილე კიდევ ერთ პირს, ოთარ ქარჩავას. რომელიც მიწვეული სპეციალისტის რანგში ჰყავდათ დაქირავებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საიას წარმომადგენლები, რომლებიც საქმეში არიან ჩართულები, მიიჩნევენ, რომ პროკურატურის თანამშრომელთა ქმედებები ამ საქმეში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოებს გასცდა და ძიება მიმდინარეობს იმ მეთოდებით, რომლებიც, შესაძლებელია, თავად შეიცავდნენ დანაშაულის ნიშნებს.

# საპარტნიორო ფონდმა ყვარელში სასტუმრო-ინფრასტრუქტურული პროექტი დაასრულა

ყვარელში, ილიას ტბის მიმდებარედ სასტუმრო „როიალ ბატონი“ გაიხსნა, რომელიც „საპარტნიორო ფონდის“ და კომპანია „ვინივერია ჯგუფის“ ერთობლივი დაფინანსებით აშენდა. თბილისიდან 150 კილომეტრის დაშორებით, მაღალი პოტენციალის ტურისტულ ზონაში განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 2,3 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. გახსნის ცერემონიალს ეკონომიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია დაესწრნენ.

სასტუმრო 31 ნომრისგან შედგება. მათ შორისაა 4 ლუქსის ტიპის და 27 სტანდარტული ნომერი. სასტუმროს ინფრასტრუქტურა მოიცავს ბარს, რესტორანს (150 პერსონაზე), 20 მეტრის სიგრძის ღია აუზს, „დუპლექსის“ ტიპის სიგარა ოთახს, ღია ვერანდებს და ღვინის მარანს. სასტუმროში დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, კონკურსის წესით, „ვინივერია ჯგუფმა“ ადგილობრივი მოსახლეობისგან შეარჩია. სასტუმრო ორგანულად ეწერება ადგილობრივ ლანდშაპში და ყვარლის ტბის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

სასტუმრო „როიალ ბატონი“ რიგით მეორე ინფრასტრუქტურული პროექტია, რომელიც საპარტნიორო ფონდის დაფინანსებით დასრულდა. 2013 წლის აპრილში ახალციხეში ფუნქციონირება დაიწყო 38 ნომრიანმა სასტუმრომ. ახალციხეში, ციხე რაბათის მიმდებარედ განთავსებული სასტუმრო „ჯინო ველნესის“ პროექტი საპარტნიორო ფონდმა 2,4 მლნ აშშ დოლარის მოცულობის კონვერტირებადი სესხით დააფინანსა.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის ინფორმაციით, ფონდი ტურიზმის განვითარების მიმართულებით



კიდევ რამდენიმე ინფრასტრუქტურულ პროექტში მონაწილეობს. კერძოდ, ესენია: ხუთვარსკვლავიანი „რიქსოსის“ სასტუმრო ლიკანში (სპა-კურორტი), რომლის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 38 მლნ აშშ დოლარია და ასევე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რედისონი“ წინანდალში 16,8 მლნ აშშ დოლარის საინვესტიციო ღირებულებით.

ეკონომიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „როიალ ბატონის“ მსგავსი ობიექტების სიმრავლე ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის განვითარებას. „წლის დასაწყისიდან საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობა 25%-ით არის გაზრდილი, რაც ზრდის კარგი მაჩვენებელია. ასეთ ნაკადს რომ მომზადებული შევხვდეთ, თანამედროვედ ინფრასტრუქტურირებული ტურისტული ობიექტების სიმრავლე იქნება აუცილებელი. მივესალმებით და ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ საპარტნიორო ფონდის მისიას, რომელიც საწყის წამახალისებელ ინვესტიციებს ახორციელებს კერძო სექტორის ინიციატივების ხელშესაწყობად“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, საპარტნიორო ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინვესტიციო მიმართულება ტურისტული ინფრასტრუქტურაა. „ჩვენი მიდგომაა ხელი შევუწყოთ იმ პროექტებს, რომლებიც რეგიონებში ხორციელდება და მაღალი ტურისტული პოტენციალით გამოირჩევა. სასტუმრო „როიალ ბატონი“ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ითანამშრომლოს სახელმწიფომ და კერძო სექტორმა. ვფიქრობ, ყველა ეს პროექტი, სასტუმროები ახალციხეში, ყვარელში, წინანდალსა და ლიკანში, სწორედ ასეთი პოტენციალით ხასიათდებიან. ფონდის საინვესტიციო პრინციპია პროექტების დაფინანსება, მათი დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება და შემდგომ პროექტიდან გამოსვლა. ასეთი პრეცედენტი უკვე გვაქვს, აქ, ყვარელში და ახალციხის „ჯინო ველნესის“ სასტუმროში, სადაც უცხოელმა ინვესტორმა, კერძოდ, სლოვაკეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა ჩაგვანაცვლა. თავის დროზე, როდესაც ბიზნეს-სექტორთან ერთად შევარჩევთ მისაღებ და საიმედო ინვესტორს, ასევე მოხდება წინანდლისა თუ ლიკანის სასტუმროებთან მიმართებაში. ფონდი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევისას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს იმ ფაქტორს, გახდება თუ არა განხორციელებული ინვესტიცია რეგიონში ტურისტული ინფრასტუქტურის განვითარების ბიძგის მიმცემი. ვფიქრობ, ამ კუთხითაც 4-ვე პროექტი სწორად და მართებულადაა შერჩეული“, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

# სანიკიძემ მარგველაშვილის ყველა კადრი ჩამოიშორა

შორენა კოწოწაშვილი

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია დავით ზურაბიშვილის გათავისუფლებას მისი მხრიდან საკუთარი აზრის თავისუფლად აზრის გამოხატვას უკავშირებს და მინისტრ სანიკიძის საკადრო გადაწყვეტილებას გათამაშებულ სპექტაკლად მიიჩნევს.

რა მინუსები ჰქონდა მინისტრის პოსტზე გიორგი მარგველაშვილს და რა შეცდომებს უშვებს მმართველი გუნდი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან.

***– ქალბატონო მანანა, როგორ შეაფასებდით მმართველ და ოპოზიციურ ძალებს შორის დღეისათვის არსებულ ვითარებას და რითი ხსნით პარტიების დაფინანსების კუთხით მათ შორის წარმოქმნილ დაპირისპირებას?***

– ჩვენ ძალიან დიდი მოლოდინი გვქონდა, რომ მმართველი კოალიცია, რომელშიც ძირითადად შედიან ის ძალები, რომლებთან ერთადაც ჩვენ ვიბრძოდით საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის, მხარს დაგვიჭერდნენ. ჩვენ ამ პროცესში სიამოვნებით ჩავერთეთ, თუმცა თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მიდგომა არასწორი მოგვეჩვენა. დღესაც ვფიქრობ, რომ არასწორი იყო, როცა მმართველმა კოალიციამ განაცხადა, რომ ისინი ქმნიან ინტერფრაქციულ ჯგუფს და ჩვენ მიგვიწვიეს ამ ჯგუფში ხმის უფლებით და რომ ეს არ იყო ინტერპარტიული ჯგუფი. თუმცა ჩავთვალეთ, შეიძლება ფორმატს მნიშვნელობა არ ჰქონდეს და მთავარია, საბოლოო შედეგი მივიღოთ. მოცემულობა მაშინაც ასეთი იყო – ინტერფრაქციული ჯგუფი ნიშნავდა იმას, რომ გადაწყვეტილებას იღებდნენ მხოლოდ იქ შემავალი პოლიტიკური სუბიექტები, ანუ არასაპარლამენტო პარტიები და საბოლოოდ ასე მოხდა, რომ ჩვენი აზრის გაუთვალისწინებლად მმართველმა კოალიციამ მიიღო გადაწყვეტილება და ცვლილებები შეიტანეს ისე, რომ ჩვენი აზრი ძალიან ხშირ შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული. მოგეხსენებათ, ჩვენ აქეთ ვიყავით 12 პოლიტიკური პარტია და ბუნებრივია ყველა ამ პოლიტიკურ ძალას ერთნაირი ხედვა ვერ გვექნებოდა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით. ცხადია, ყველა პოლიტიკურმა ძალამ ის ცვლილებები შემოგვთავაზა, რომელიც მას მიაჩნდა საჭიროდ. მამუკა კაციტაძემ, რომელიც იყო ამ ჯგუფის კოორდინატორი, ცხადია, ახმოვანებდა ჯგუფში შემავალი პოლიტიკური ძალების წინადადებებს. თუმცა, შემდეგ ეტაპზე ეს 14 წინადადება დავიყვანეთ 6 წინადადებაზე იმიტომ, რომ აქეთაც ბავშვები არავინ ვართ პოლიტიკაში და არ ვართ ახალი მოსულები. ძალიან კარგად ვიცით, რა შევთავაზოთ ხელისუფლებას და რა არა. მამუკა კაციტაძემ, პირველ რიგში, წარუდგინა ყველა ის წინადადება, რომელიც წარმოადგინა 12-ვე პოლიტიკურმა ძალამ, შემდეგ ეს 6 წინადადებამდე დავიყვანეთ. ეს იყო საბოლოოდ შეთანხმებული წინადადებები ამ პარტიებს შორის. თავდაპირველ ვარიანტში, ცხადია, იყო ისეთი შეთავაზებები, რომელსაც „ახალი მემარჯვენეები“ ვთვლიდით, რომ არასწორი იყო. ვიღაცას ეს სწორად მიაჩნდა. მაგრამ ბოლოს ჩვენ დავხიეთ მმართველი გუნდის წარმომადგენლების თვალწინ ეს დოკუმენტი და ბოლოს შევთავაზეთ საბოლოოდ შეჯერებული ვარიანტი. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რასაც ისინიც ეთანხმებოდნენ, იყო ის, რომ გასული არჩევნების პოლარული ხასიათის, ორპოლუსიანობის გამო, როდესაც შუა გაიკრიფა, როდესაც სრულიად არაორდინარული ვითარება შეიქმნა, იყო მისაღები ის, რაც მოხდა, მაგრამ ახლა დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური პარტიების გაძლიერება. როცა გაძლიერებაზეა ლაპარაკი, ცხადია აქ ფინანსური მხარეც იგულისხმება. მე სულაც არ მრცხვენია განვაცხადო, რომ ცხადია პოლიტიკურ ძალებს სჭირდებათ სერიოზული დაფინანსება იმისთვის, რომ მათ იმოქმედონ და თბილისის გარდა რეგიონულ ცენტრებში მაინც ჰქონდეთ ოფისები. სამწუხაროდ, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ეს 12 სუბიექტიანი ჯგუფი აერთიანებდა, არ აქვს რეგიონული ოფისები, ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე. ჩვენ ცხადია, შევიტანეთ ჩვენი შეთავაზებები პარტიების ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებასთან დაკავშირებით. ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, ეს სწორი იყო თუ არა. ბუნებრივია, კოლეგების წინადადებები უნდა გაითვალისწინო, როცა შეთანხმება ხდება. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის, ახალი მემარჯვენეებისთვის, ყველაზე მიუღებელი ამ პროცესში იყო არა ის, რომ ეს წინადადებები არ გავიდა, არამედ ის, რომ უკვე შეთანხმებულ დოკუმენტთან დაკავშირებით მმართველმა კოალიციამ სრულიად მოულოდნელად გვითხრა, რომ ის არ გაითვალისწინებს ამ შეთანხმებას და მიზეზად მოიტანა ძალიან აბსურდული რამ, რომ ამ პოლიტიკურ პარტიებს შორის ხელმოწერილ დოკუმენტზე არ არის სამი პოლიტიკური ძალის ხელმოწერა, რომელიც ამ პროცესში მონაწილეობდა. ქრისტიან-დემოკრატების, მწვანეების პარტიის, ხოლო ნინო ბურჯანაძის პარტიამ ხელი მოაწერა, მაგრამ იქვე მიუთითა თავისი განსხვავებული აზრი. შედეგად მივიღეთ ის, რომ თურმე რადგან ყველა ვერ შევთანხმდით, ისინი უკან წაიღებენ თავიანთ ნათქვამ სიტყვას, რაც არის ძალიან ცუდი. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა: ახალი მემარჯვენეები ვართ ნაწყენი იმის გამო, რომ განმეორდა ის, რაც იყო ნაციონალური მოძრაობის დროს, როდესაც უკვე შეთანხმებული დოკუმენტი ნაციონალურმა მოძრაობამ იმის გამო, რომ მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ის იღებდა გადაწყვეტილებებს, დოკუმენტი თავზე გადაგვახია. ეს ძალიან ცუდი ტრადიცია გაგრძელდა და უკვე შეთანხმებული დოკუმენტი მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ უკან წაიღო. ამ მიზეზით, იმ მიზეზით, რომ ვიღაცამ ხელი არ მოაწერა, ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ძალიან ცუდი პრეცედენტი მოხდა. ასე ცუდად დაიწყო პირველივე თანამშრომლობა არასაპარლამენტო ოპოზიციასა და მმართველ კოალიციას შორის.

***– ნაციონალების ხელწერა ახალ ხელისუფლებას სხვა ნაბიჯებშიც ეტყობა?***

– მე პირადად მაქვს განცდა, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ არის ვთქვათ ისეთი უტიფარი და ისეთი ძალისმიერი, როგორიც იყო ნაციონალური მოძრაობა. ღმერთმა დაგვიფაროს. მაშინ გამოდის, რომ წყალში ჩაიყარა მთელი 8-წლიანი ბრძოლა ჩვენი და სხვა პარტიების. როგორ გითხრათ, შემაშფოთებელი რამ მართლაც გამოჩნდა მმართველი კოალიციის პირობებში. კონკრეტულ მაგალითებსაც დაგისახელებთ: ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, არ განმეორებულიყო ძველი ტრადიცია, როდესაც ადამიანებს ჰქონდათ თავიანთი მოსაზრება, მაგრამ თუ ეს მოსაზრება არ მოდიოდა სრულ უნისონში ერთი ადამიანის – მიხეილ სააკაშვილის ხედვასთან, ისინი სხვადასხვა არგუმენტების მოტანით ცდილობდნენ, სააკაშვილის აზრს დათანხმებოდნენ. სამწუხაროდ, ახლაც ასე გრძელდება. თუ აბსოლუტურად არ ასახავს ბიძინა ივანიშვილის ხედვას მმართველ კოალიციაში შემავალი პოლიტიკური ძალების უმეტესობა ცდილობს, რომ საკუთარი აზრი დამალოს, ან ნათქვამი დამალოს, ან პოზიცია სრულ თანხმობაში მოიყვანოს ივანიშვილის აზრთან. შემდგომ ხდება ძალიან გულდასაწყვეტი რამ: როცა აღმოჩნდება, რომ ივანიშვილი სულ სხვა აზრზეა, ეს ადამიანები გადააბრუნებენ „პლასტინკას“ და ამბობენ: უი, ჩვენც ასე ვფიქრობდითო. ასე მოხდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა აღმოაჩინა, რომ მისთვისაც მიუღებელი იყო ერთპიროვნულად რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა და პარლამენტში მხოლოდ 12 ადამიანმა არ მისცა ხმა ამ კანონს. შემდგომ კი ყველამ ის პოზიცია გაიმეორა, რაც ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა. თუნდაც ამ რამდენიმე დღის წინანდელი ფაქტი ავიღოთ იპოთეკით დატვირთულ ქონებასთან დაკავშირებით პარლამენტში შემოტანილი კანონპროექტი. ჩვენ ვთვლიდით, რომ ეს იყო ძალიან უხეში ჩარევა ბიზნესის საქმიანობაში და კონკრეტულად ბანკების საქმიანობაში. იყო ყველას მხრიდან ძალიან ატაცებული და აცხადებდნენ, რომ თურმე რა კარგი რამ ხდება და ჩვენ ხალხის ინტერესებს ვითვალისწინებთ. კიდევ კარგი, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის ამას არ ეთანხმება. მართლაც წარმოუდგენელია, შენ ბანკებს დაუდგინო კანონები და უთხრა, რომ ამდენ პროცენტზე მეტად ვერ გასცემ სესხს. ამას ბაზარი არეგულირებს. ის ბანკი, რომელიც სხვებთან შედარებით მაღალ პროცენტს დააწესებს, კლიენტების გარეშე დარჩება. ამიტომ ასეთი ტიპის უხეში ჩარევა არ უნდა ხორციელდებოდეს ბიზნესზე. მაგრამ სანამ ბიძინა ივანიშვილმა არ თქვა ამის შესახებ, ყველა პარლამენტში კანონის წარმოდგენილ ვარიანტს მხარს უჭერდა.



***– ეს იმის ბრალია, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში ეკონომისტების ნაკლებობაა?***

– არა, მე ასე არ ვიტყოდი. არ არის აუცილებელი, რომ ეკონომისტი იყო. პოლიტიკოსი რომ ხარ, უნდა გაერკვე, ესა თუ ის მიდგომა რამდენად სწორია და შემდეგ ისე დაუჭირო მხარი ამ კანონს. უბრალოდ ნაკლებობაა იმისა, რომ ადამიანები პარლამენტში ვერ მიეჩვივნენ საკუთარი აზრის ქონას. ისინი ყოველთვის ცდილობენ, ეს შეუთანხმონ ერთ ადამიანს იმიტომ, რომ იციან, რომ თუ ერთი ადამიანი განაწყენდება ამის გამო, ისინი დაისჯებიან – გაირიცხებიან კოალიციიდან ან დაატოვებინებენ თანამდებობას და იმ სიკეთეებით ვერ ისარგებლებენ, რითაც დღეს სარგებლობენ. აი, ამ გათვლას აკეთებენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები. ხომ შეიძლებოდა ივანიშვილი ექსპერტებს არ შეხვედროდა და მათ არ ეთქვათ, რომ იპოთეკარებთან დაკავშირებით მიღებული კანონის ამ სახით დამტკიცება წარმოუდგენელია. რა, უნდა ჩაეკლათ საბანკო ბიზნესი და ასეთი დარტყმა მიეყენებინათ? მერე გამოვიდოდნენ და იტყოდნენ, რომ თურმე ინვესტიციები იმიტომ არ შემოდის, რომ მიხეილ სააკაშვილი ევროპასა და ამერიკაში შავ პიარს უკეთებს მმართველ გუნდს. ინვესტორებმაც და ბიზნესმენებმაც ძალიან კარგად იციან, რომ თუ თამაშის წესები არის ერთ ადამიანზე დამოკიდებული, არ არის გონივრული მიდგომა და არ არის საბაზრო ეკონომიკის პრინციპები დაცული, ისინი ასეთ ქვეყანაში ფეხს არ შემოადგამენ და ფინანსურ რისკს არ გაწევენ.

***– საპრეზიდენტო მარათონთან დაკავშირებით რას იტყვით, რამდენად მართებულად აფასებს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ნინო ბურჯანაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ის მცირე დაფინანსებითაც დაამარცხებს მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატს.***

– მე მაინც მგონია, რომ ჩვენ ამ ეტაპზე ვერ მივაღწევთ იმას, რომ კონკურენტული საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს. ვფიქრობ, ეს იქნება არაკონკურენტული არჩევნები, სადაც მმართველი გუნდის კანდიდატს არ ეყოლება საპირწონე. ეს ვერ იქნება ნინო ბურჯანაძე და ვერ სხვა ვინმე. მით უმეტეს, ვერ იქნება ბაქრაძე, მიუხედავად ბაქრაძისადმი პიროვნული დამოკიდებულებისა, ის არის იმ პოლიტიკური ძალის კანდიდატი, რომლის მიმართაც საზოგადოებას აქვს სერიოზული წყენა და პრეტენზია. სამწუხაროდ, დღეს ვერ ვხედავ ვერც ერთი პოლიტიკური ძალის მიერ წარმოდგენილ კანდიდატს და ვერც დამოუკიდებელ კანდიდატს, რომელიც სერიოზულ კონკურენციას გაუწევს მმართველი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატს.

***– ბურჯანაძე ფიქრობს, რომ ქვეყნისთვის იქნება უკეთესი, რომ საქართველოს პრეზიდენტი კოალიციის კანდიდატი არ იყოს. იზიარებთ ამ პოზიციას?***

– რა თქმა უნდა. მე ვთვლი, რომ პრეზიდენტი, რომელიც ჩვენი ახალი კონსტიტუციით უნდა იყოს არბიტრი, მიუმხრობელი არბიტრი მთავრობასა და პარლამენტს შორის, ცხადია, ჯობია იყოს სხვა გუნდის წარმომადგენელი და ცხადია, ჯობია იყოს პარტიათა შეთანხმებით წარდგენილი კანდიდატი, ანუ უმრავლესობისთვის მისაღები კანდიდატი. დღეს ასეთი შემთხვევა ნამდვილად არ არის. პრეზიდენტი, რომელიც იქნება მმართველი კოალიციიდან, ვგულისხმობ მარგველაშვილს, ვრფიქრობ, ვერ იქნება ობიექტური არბიტრი. ბუნებრივია, ის იქნება მართული. ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ის მიდის პოლიტიკიდან, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თუ წავა, კარგა ხანს მაინც მისი გავლენის ქვეშ იქნება მმართველი კოალიცია, სანამ არ დაიშლება.

***– დაბოლოს, რას იტყვით განათლების სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე, ახალი მინისტრის საკადრო გადაწყვეტილებაზე, რომელსაც რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი პოლიტიკური ნიშნით ხსნის?***

– ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც მმართველი გუნდისთვის ძალიან უსიამოვნო რამ მოხდა. აქ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ისმება. პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ რატომღაც გათამაშებული მგონია ეს სცენარი, რომ თურმე მოულოდნელად ახალი განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე „კერკეტი კაკალი“ აღმოჩნდა და მან პრემიერ-მინისტრთან შეუთანხმებლად მიიღო ეს გადაწყვეტილება. ერთი მხრივ, ამას აცხადებენ და მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მას ჰქონდა საუბარი დავით უსუფაშვილთან. ამიტომ ბუნებრივია, ეს ვერ იქნებოდა მოულოდნელი ბიძინა ივანიშვილისთვის. ეს არის დადგმული სპექტაკლი. ეს საზოგადოებისთვისაც შეურაცხმყოფელია, როცა ასეთი სპექტაკლები ხდება. აქ არის ერთი რამ: პრეზიდენტობის კანდიდატი მარგველაშვილიო, რომელიც ამავე დროს იყო ვიცე-პრემიერი და გამორჩეული მინისტრი, როგორც ივანიშვილი აცხადებდა, აღმოჩნდა, რომ ვერც კარგი მენეჯერი იყო იმიტომ, რომ პროფესიონალი კადრები ვერ შეარჩია სამინისტროში და საქმე ვერ მიჰყავდა ისე კარგად, რადგან აღმოჩნდა, რომ უამრავი გასაკეთებელი რამ დაგროვდა სამინისტროში. ამაზე თავად ახალი მინისტრი საუბრობს. აი, ეს არის ჩვენთვის გაუგებარი. ამავე დროს ახალი მინისტრი სანიკიძე აცხადებს, რომ ის ნაბიჯ-ნაბიჯ გაყვება მარგველაშვილის გზას. თუ ასე მისაღები და მოსაწონი იყო მარგველაშვილის ნაბიჯები, მაშინ მისი საკადრო გადაწყვეტილებებიც უნდა ყოფილიყო მოსაწონი. ამიტომ მე მართლაც მგონია, რომ დათო ზურაბიშვილის ეჭვები, რომ ის დაისაჯა მისი განსხვავებული შეხედულებების გამო, რომელიც რამდენჯერმე დააფიქსირა, მინდა დავადასტურო, რომ დათო ზურაბიშვილი იყო ერთადერთი მმართველი კოალიციიდან, რომელიც ღიად და თამამად აფიქსირებდა თავის განსხვავებულ პოზიციას. არა მგონია, რომ ეს არის რესპუბლიკელების ბოსტანში ნასროლი კენჭი, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არის გადაწყვეტილება, რომლითაც ძალიან ბევრმა უნდა გაიგოს თამამი და დამოუკიდებელი მოქმედების უფლება სულაც არ აქვს მინიჭებული; მან უნდა გაითვალისწინოს კოალიციის ლიდერის მოსაზრებები.

***– მინისტრმა განაცხადა, რომ მას მოადგილედ განათლების მუშაკი სჭირდება და არა პოლიტიკოსი. ზურაბიშვილი კი პოლიტიკოსია.***

– ესეც ძალიან უმწიფარი პოლიტიკური განცხადებაა. დიდი ბოდიში ქალბატონ მინისტრთან, მან ისიც განაცხადა, რომ მე პოლიტიკოსი არა ვარო. პოლიტიკაში კი ასეა მიღებული, მინისტრი არის პოლიტიკური თანამდებობა. მინისტრის მოადგილეები, გეთანხმებით, პროფესიონალები უნდა იყვნენ. დათო ზურაბიშვილი სწორედ განათლების საკითხებზე მუშაობდა და ვერ იტყვით, რომ ის ამ დარგის პროფესიონალი არ არის. თუმცა შესაძლოა მინისტრს ზურაბიშვილზე ასეთი აზრი ჰქონდეს. ცნობილია, რომ განათლების ახალმა მინისტრმა ყველა მოადგილე და ყველა დეპარტამენტის თავმჯდომარე შეცვალა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი და ყოფილი განათლების მინისტრი სამინისტროში კადრებს სათანადოდ ვერ არჩევდა და სამინისტროში არაპროფესიონალები ჰყავდა?! რა გამოდის, ჩვენ პრეზიდენტად გვინდა კაცი, რომელსაც უნარი არ აქვს სწორი საკადრო გადაწყვეტილებები მიიღოს?!

# ქუთაისს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება

ნათია ხურცილავა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე ნარმანიამ ქვეყნის წყალმომარაგების და მასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა. მინისტრმა და წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენელმა საზოგადოებას 6 თვის ანგარიში წარუდგინეს.

როგორც გუშინ ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის შემოსავალი ახალი მენეჯმენტის პირობებში 2.107.867 ლარით გაიზარდა.

ამის შესახებ რეგიონული კომპანიის ხელმძღვანელმა არჩილ ცაბუტაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ნარმანიას განცხადებით, მენეჯმენტის ცვლილებიდან 6 თვეში კომპანიის მთლიანმა შემოსავლებმა 15, 949, 659 ლარი შეადგინა, 2012 წლის ამავე პერიოდში კომპანიის შემოსავალი 13, 841, 792 ლარი იყო.

როგორც რეგიონული განვითარების მინისტრი, პირობას დებს, ქუთაისს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება.

დავით ნარმანიას განცხადებით, 6 თვის განმავლობაში დაიწყო ან უკვე განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

დაიწყო ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის 60 მილიონი ლარის ღირებულების პროექტის განხორციელება. პროექტის შედეგად, ფოთს და ანაკლიას მთლიანად, ასევე, ქუთაისის ნაწილს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი 40 მილიონი ევროს ოდენობით სესხის ფარგლებში, ქვეყნის 15 ქალაქში დასრულდა წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღდგა და გარემონტდა წყალსადენის ქსელები და სათავო ნაგებობები. ეს ქალაქებია ქუთაისი, გორი, ყვარელი, სიღნაღი, თეთრიწყარო, ფოთი, მარნეული, ცაგერი, ლენტეხი, გურჯაანი, თელავი, ომალო, ვანი, ლაგოდეხი და ბორჯომი.

დონორი ორგანიზაციებიდან 30 ქალაქის რეაბილიტაციისთვის მოზიდულ იქნა 100 მილიონი ლარის ინვესტიციები შემდეგი ქალაქებისთვის – აბაშა, სენაკი, ხობი, ოზურგეთი, ონი, ქარელი, ხაშური, დუშეთი, ლიკანი, წალვერი, ასპინძა, ახალციხე, გურჯაანი, სიღნაღი, ახმეტა, ლაგოდეხი, ყვარელი, საგარეჯო, თელავი, წყალტუბო, კურდღელაური, წნორი, წალკა, ბოლნისი, თეთრიწყარო, ბაღდათი, ჭიათურა, ზესტაფონი, თერჯოლა, ტყიბული.

ევროკავშირის დაფინანსებით დასრულდა 2,6 მილიონი ლარის პროექტები ქვეყნის 7 ქალაქში – ზესტაფონში, ხონში, ხაშურში, კასპში, დუშეთში, სენაკსა და ფოთში.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით დაიწყო ონის ქვედრულას სათავე ნაგებობაზე სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ასევე დაიწყო ევროკავშირის მიერ გამოყოფილი 4 მილიონი ევროს გრანტის ათვისება, რაც გულისხმობს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების დაწყებას ექვს ქალაქში – სენაკში, ზესტაფონში, ხაშურში, ლაგოდეხში, ახმეტასა



და ყვარელში.

მინისტრ ნარმანიას განცხადებით, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროპის საინვესტიციო ბანკთან 40 მილიონი ევროს ოდენობით სესხის და 8 მილიონი ევროს გრანტის გამოყოფის შესახებ.

როგორც ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, დასრულდა მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა კონტრაქტს მსოფლიო ბანკთან 9 მილიონი დოლარის გრანტის გამოყოფის თაობაზე წყალტუბოში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელმა არჩილ ცაბუტაშვილმა აღნიშნა, რომ გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, კომპანია აბონენტებისათვის მომსახურების გაუმჯობესებაზეც ზრუნავს.

– ამ კუთხით 6 თვის განმავლობაში კომპანიაში განხორციელდა შემდეგი სიახლეები: გაიხსნა საქართველოში წყლის მრიცხველის შესამოწმებელი ერთადერთი ლაბორატორიული სტენდი მცხეთის (ზაჰესი) და ქუთაისის სერვის ცენტრების ტერიტორიაზე. ეს ლაბორატორია საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა და ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა გაარკვიოს საკუთარი წყლის მრიცხველის მუშაობის სიზუსტე და დადგენილი წესით მიიღოს ოფიციალური ცნობა მრიცხველის ვარგისიანობისა ან ცდომილების შესახებ, – განაცხადა ცაბუტაშვილმა.

მისივე თქმით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში 24 საათის განმავლობაში მუშაობს ცხელი ხაზი, რომლით სარგებლობა უფასოა და მოსახლეობას ემსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა აჭარის, რუსთავის, მცხეთის და თბილისისა.

როგორც ცაბუტაშვილმა აღნიშნა, რეგიონები აღიჭურვა წყლის ხარისხის მობილური ლაბორატორიებით – კომპანიამ შეიძინა 150 ათასი ლარის ღირებულების გერმანული წარმოების ქიმიურ-მიკრობიოლოგიური კვლევის აპარატურა შესაბამისი რეაგენტებით.

– კვალიფიციური კადრები სათანადო აღჭურვილობით და მასალებით ადგილზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით გააკონტროლებენ სასმელი წყლის ძირითად ორგანოლეპტიკურ, ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ მონაცემებს, ანალიზები დასრულდება და საბოლოო სახეს მიიღებს ლაბორატორიულ პირობებში, – აღნიშნა ცაბუტაშვილმა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, გერმანულ კომპანია „ზაქსენ ვასერთან“ მენეჯმენტ კონტარქტი გაფორმდა, რომელიც კომპანიას საკონსულტაციო მომსახურეობას გაუწევს, რათა გააძლიეროს კომპანიის მენეჯმენტი და სამუშაოს შესრულების ეფექტიანობა.

# ციხეებში ნარკოტიკები ისევ შედის

შორენა კოწოწაშვილი

**ციხეებთან დაკავშირებით ხმაური არ წყდება. პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ახალი ხელისუფლებისა და სოზარ საუბარის მინისტრობის პერიოდშიც გრძელდება ღირსების შემლახავი მოპყრობა და რომ სისტემაში დარჩენილი ძველი კადრები ძველი ინერციით განაგრძობენ მუშაობას. ეს განცხადებები ეხება იგივე ციხის სამედიცინო პერსონალსაც, რომლის ერთ-ერთი თანამშრომლის – ციალა (ციცი) კაშიას მიმართ აშკარად ადგილი ჰქონდა ღირსების შემლახავ მოპყრობას და როგორც თავად აცხადებს, ნარკოტიკის ჩადებასთან ერთად.**

ღირსების შელახვის პარალელურად, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში აცხადებენ, დღემდე აქვს ადგილი ციხეებში ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანის ფაქტებს.

ამჯერად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქსნის ციხესთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ „24 ივლისს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და სასჯელღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ელზა მ. დააკავეს“.

სამინისტროს ინფორმაციით, ე.მ., რომელიც სასჯელაღსრულების მე-15 დაწესებულებაში მყოფი ერთ-ერთი მსჯავრდებულის ინტერესებს იცავდა, აღნიშნულ დაწესებულებაში შევიდა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულისთვის, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი მცირე რაოდენობით ნივთიერების გადაცემა სცადა, რა დროსაც ის ზემოთ ხსენებული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს.

– აღნიშნული ფაქტის გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-378 პრიმა მუხლის მეორე და მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის, აკრძალული საგნის გადაცემის მცდელობას, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებულმა დანაშაული აღიარა და თბილისის საქალაქო სასამართლომ „ადვოკატთა ასოციაციის“ წევრს გირაო შეუფარდა.

# ქუცნაშვილმა მედიას პარტიების დაფინანსების ახალი მოდელი გააცნო



შვიდი საპარლამენტო პარტიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 2 მილიონ 100 ათასი, ხოლო შვიდი არასაპარლამენტო პარტიისთვის 1 მილიონ 50 ათასი ლარი გამოიყოფა. ერთჯერად დაფინანსებას – 150-150 ათას ლარს კი 4 ე.წ. არაკვალიფიციური სუბიექტი მიიღებს.

ამას პარტიათა დაფინანსების ახალი მოდელი ითვალისწინებს, რომლის ინიცირებასაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დღეისთვის აპირებს.

როგორც დეპუტატმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 14 პოლიტიკური პარტია ფინანსდება.

„აქედან 7 საპარლამენტო პარტიაა, რომელთაგან 6 კოალიციაშია გაერთიანებული. დანარჩენი 7 კვალიფიციური სუბიექტია. ესენია: „ახალი მემარჯვენეები“, „საქართველოს გზა“, ზურაბ ნოღაიდელის ყოფილი პარტია, „ქრისტიან-დემოკრატები“, „ევროპელი დემოკრატები“ და კობა დავითაშვილის „ხალხის პარტია“. აღნიშნულ 14 პარტიას კიდევ ოთხი პარტია დაემატება, რომელსაც არცერთ ბოლო არჩევნებზე ბარიერი გადალახული არ აქვს. ესენია: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული დასი“. ისინი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ. ერთჯერად დაფინანსებას ამ ოთხი პარტიის გარდა ასევე მიიღებს: „ახალი მემარჯვენეები“, „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ხალხის პარტია““, –- განმარტა ზაქარია ქუცნაშვილმა.

დეპუტატმა ხაზი იმ გარემოებას გაუსვა, რომ საკითხის განხილვისას ასეთი პრინციპით იმოქმედეს: ბიუჯეტიდან დაფინანსება ან ყველას მოემატებოდა, ან –- არავის. მისივე თქმით, ამით თემა პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსებაზე დახურულად ცხადდება.

**მედიანიუსი**

## სარფში ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს

28 ივლისს, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის კონტროლის ზონაში, თურქეთიდან პეჟოს მარკის მსუბუქი ავტომანქნით, თურქეთის მოქალაქე მუსტაფა კ. შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტომანქანის დათვალიერებისას, სატრანსპორტო საშუალების სალონში არსებულ სათავსოში ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდით და 15 ცალი ვაზნით აღმოაჩინეს, – აცნობეს მედიანიუსს შემოსავლების სამსახურიდან.

საქმე შემდგომი მოკვლევისათვის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს გადაეცა.

**მედიანიუსი**

## შსს-ს აკადემიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს შსს-ს აკადემიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, გუშინ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი, უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა და შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა მოაწერეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება ორივე მხარისთვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების და სიმპოზიუმების ორგანიზება, ასევე, სხვა სახის სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, თანამშრომლების პროფესიული განვითარება, სტუდენტებისთვის გაცნობითი ღონისძიებების ჩატარება და სასწავლო ლიტერატურის ურთიერთგაცვლა.

**ნიუსპრესი**

## შს სამინისტროს თანამშრომლები „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ მიემგზავრებიან

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სამინისტროს თანამშრომლები წელს პირველად, „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაში“ მიიღებენ მონაწილეობას.

ოლიმპიადა ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და მასში მსოფლიოს 70 ქვეყნიდან, ათასობით პოლიციელი სპორტის 67 სახეობაში ასპარეზობს. ოლიმპიადა პოლიციელების ფიზიკური მონაცემების გაუმჯობესებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული.

შსს-ს თანამშრომლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რომლებსაც წარმატებული სპორტული კარიერა ჰქონდათ, 1-დან 12 აგვისტომდე ირლანდიაში, ქალაქ ბელფასტში გაემგზავრებიან.

16 ქართველი პოლიციელი „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადა“-ზე სპორტის 7 სახეობაში იასპარეზებს. ესენია: ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, მკლავჭიდი, კრივი, სროლა და ცურვა.

შს სამინისტრო მომავალში, აღნიშნული ოლიმპიადის ფარგლებში, სპორტის უფრო მეტ სახეობაში მონაწილეობის მიღებას გეგმავს.

**ნიუსპრესი**

# რა მომავალი აქვს „ქართულ ოცნებას“

თამარ ნინიძე

სამეგრელოში ნაპოვნი სამალავების თემა კვლავ აქტუალურია. ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ეს ფირები სასწრაფოდ უნდა განადგურდეს, მაგრამ არის სხვა მოსაზრებები, ექსპერტი კახი კახიშვილი სამართლებრივ მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას, მისი აზრით, ამ ფირებში ორი კატეგორიის აუდიო და ვიდეო ჩანაწერებია, პირადი ცხოვრების ამსახველი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც კომპრომატი და მეორე, არის ადამიანთა წამების ამსახველი ფირები, რომელიც სამართალდამცავმა ორგანოებმა შეიძლება გამოიყენონ როგორც კონკრეტული პირების მიმართ სამხილები.

პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს სამალავები ნაციონალურ მოძრაობას ჩამარხული ჰქონდა წინასაარჩევნოდ, რომ კონკრეტული მიზნისთვის გამოეყენებინა. სწორედ არჩევნების წინ იქნებოდა ამ კომპრომატების გამოყენება შესაძლებელი, იმისათვის, რომ კონკრეტული პოლიტიკოსების და ჟურნალისტების შანტაჟისა და დაშინების გზით მოეპოვებინათ ნაციონალებს გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში. ეს ეჭვები ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ წარსულში ნაციონალების მიერ არა ერთი ვიდეო და აუდიო ფირების ფრიალს იმ დროს როცა ნაციონალებისთვის ყველაზე კრიტიკული პოლიტიკური ვითარება იქმნებოდა. ეს რაც შეეხება ნაცმოძრაობას, მაგრამ რა მიზნით ინახავს „ქართული ოცნება“ ამ ფირებს, ეს იწვევს უამრავ კითხვას საზოგადოებაში. თომას ჰამერბერგის რეკომენდაციების მიხედვით ეს ფირები უახლოეს დროში უნდა განადგურდეს და ამ მოსაზრებას ალტერნატივა არ გააჩნია, მას ემხრობიან რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა მმართველი ძალა ამ პროცესის დაწყებას არ ჩქარობს.

ამ ფირებზე არა მარტო ოპოზიციური პოლიტიკოების კომპრომატებია, არამედ თავად ნაცმოძრაობის ლიდერებზე არსებობს ჩანაწერები., სხვათა შორის დავით ბაქრაძემ ერთ-ერთ ტელეეთერში დაადასტურა, რომ ჩანაწერები მასზეც იყო, „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეცდება ნაცმოძრაობისგან ბუა და მონსტრი ისევ შექმნას. ის, რომ ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებაში ისედაც აღიქმება მონსტრად ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ „ქართული ოცნება“ ბოლომდე შეეცდება ნაცმოძრაობის ჩაძირვას და წინასაარჩევნოდ სიტუაციის დრამატიზირებას, ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ კომპრომატები დიდი დოზით იქნება გამოყენებული თანაც ერთმანეთზე ორივე პოლიტიკურ ძალას ექნება საკმარისი რაოდენობიტ, ამას კი იმით ახსნიან, რომ ფირების ასლები კერძო პირთა ხელში იყო და სოციალურ ქსელებში ჩაფლული ბომბის ფუნქციას შეასრულებს.

იმ დროს როცა პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ ხელისუფლებიდან არასამთავრობო სექტორში მალე გადავა, ადვილი წარმოსადგენია რა ქაოსში შეიძლება გაეხვეს მთლიანად პოლიტიკური ელიტა საქართველოში და რა რყევებია მოსალოდნელი ხელისუფლების შტოებში, ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მალევე რომ წავიდეს, ის უმძიმეს ვითარებას დატოვებს ქვეყანაში. ერთის მხრივ იქნება უკონტროლო ვითარება კომპრომატების გამომზეურების თვალსაზრისით და მეორეს მხრივ საკანონდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ჯერჯერობით კვლავ ისეთ ვითარებას ვაკვირდებით, რომ სადეპუტატო კორპუსი და მინისტრთა კაბინეტი ქვეყანას ვერ მართავს. უამრავი მაგალითია იმისა, რომ ერთმანეთთან შეუთანხმებელი განცხადებები კეთდება და ურთიერთგამომრიცხავი ქმედებებიც მრავლად არის.

ექსპერტი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ივანიშვილი ცდილობს აქტიურად არ ჩაერიოს სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობაში, მისი სტრატეგიის ნაწილია ის, რომ ცდილობს მინისტრები შეაჩვიოს დამოუკიდებლად აზროვნებას და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ იმას ვხედავთ, რომ ურთიერთგამომრიცხავ და წინააღმდეგობრივ ქმედებებში მინისტრები და მათი მოადგილეები ერთანეთს ეჯიბრებიან. ამასობაში კი ვერც ეკონომიკა ვითარდება,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# სალომე ქათამაძე: „ერთი ქულა შემთხვევით წავაგეთ!“

ეკა ირემაშვილი

იურმალაში „ახალი ტალღა 2013“ დასრულდა. საქართველოს წარმომადგენელმა სალომე ქათამაძემ მეორე ადგილი დაიმსახურა და პირველადგილოსან კუბელ კონკურსანტს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩა.

როგორც მომღერალმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა:

– მიყვარხართ ყველა, მთელი საქართველო და არა უშავს, ჩვენ ის ერთი ქულა შემთხვევით წავაგეთ, მაგრამ არა უშავს, ჩვენი სიყვარული ძლიერია და ხანგრძლივი.

წელს კონკურსის რჩეული კუბელი რობერტო კელ ტორესი გახდა. მან ჟიურის მიერ სამივე საკონკურსო ტურში 357 ქულა მოაგროვა. სალომე ქალათამეძ კი – 356.

ორი 10 და ცხრა, 11 ქულა დაუწერეს ქართველ კონკურსანტს. პირველ საკონკურსო ტურში სალომემ მხოლოდ ერთი 10-იანი დაიმსახურა და ისიც მაქს ფადეევმა დაწერა. ტოტო კუტუნიო, რომელიც პირველ დღეს სალომე ქათამაძეს ფეხზე წამოუდგა და აღფრთოვანებულმა აწია 11 ქულა, მეორე დღეს მხოლოდ 8 ქულას დასჯერდა. იტალიელი მომღერლის გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ვალერი მელაძემ განაცხადა, რომ კუტუნიოს ალბათ ეძინა და გამოაღვიძეს, რის გამოც გაბრაზდა და დაბალი ქულა ამიტომ დაწერაო. სალომესა და დუეტის „ჯორჯია“ შეფასებისას ვალერი მელაძემ განაცხადა:

– ძალიან რთული სიმღერა იყო. „ჯორჯია“ ძალიან ძლიერი დუეტია, სალომეც შესანიშნავად მღერის. მათი გამოსვლა პროფესიონალებმა უმაღლესი ქულებით შეაფასეს. ყველა აღფრთოვანებულია. რაც შეეხება კუტუნიოს, მას ამ სიმღერაზე ალბათ, ეძინა, გაეღვიძა და არ მოეწონა, რომ გააღვიძეს. ერთადერთი, რაც შემიძლია სალომეს ვურჩიო, ცოტა მარტივი კომპოზიცია შეარჩიოს.

მესამე საკონკურსო დღეს ქართველ კონკურსანტს ორი ათიანი დაუწერეს – ლეონიდ აგუტინმა და იგორ მატვიენკომ. ქართველები ლეონიდ აგუტინის „ფეიბუქს“ შეესივნენ და უშვერი სიტყვებითაც გალანძღეს და გინებაც არ დააკლეს. მესამე საპრიზო ადგილი კონკურსზე ვიეტნამელმა ვინ ხუატმა მიიღო. სამივე გამარჯვებულმა მიიღო კოკნურსის მთავარი პრიზი – ბროლი ტალღა და დიპლომები.

„ახალი ტალღა 2013“-ის საპრიზო ფონდი 100 ათას ევროს შეადგენდა. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, საპრიზო თანხები ასე გადანაწილდა: პირველი ადგილი 50.000 ევრო, მეორე ადგილი – 30.000 ევრო და მესამე ადგილი – 20.000 ევრო. სამი საკონკურსო დღის განმავლობაში მათ პირველ ტურში მსოფლიო ჰიტები უნდა შეესრულებინათ, მეორეში – მშობლიური ჰიტები, ხოლო ბოლო ტურში – სპეციალურად „ახალი ტალღისთვის“ შექმნილი სიმღერები. სალომე ქათამაძემ მესამე ტურში რუსა მორჩილაძეს სიმღერა „ჩეინჯ მაი ლაივ“ შეასრულა.




სალომე ქათამაძისთვის პრიზების გადასაცემად სცენაზე ჟიურის წევრები ტოტო კუტუნიო, იგორ ნიკოლაევი და მაქსიმ ფადეევი ავიდნენ. მათ ქართველი კონკურსანტის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურეს. რუსმა პროდიუსერმა მაქსიმ ფადეევმა კი სინანულით აღიარა, რომ ნანობს, პირველ საკონკურსო ტურში მხოლოდ მან რომ დაუწერა სალომეს 10 ქულა.

სალომე ქათამაძის სამადლობელი სიტყვის შემდეგ, იტალიელმა შემსრულებელმა ტოტო კუტუნიომ სპეციალურად სალომესთვის იმღერა, გაამხნევა და აღნიშნა, რომ თავადაც რეკორდსმენია:

– სან რემოზე 16-ჯერ გამოვედი და 7-ჯერ მეორე ადგილი დავიკავე. იმედი მაქვს, ეს მეორე ადგილი გზას გაგიხსნის დიდი წარმატებისკენ. შენ ამას ნამდვილად იმსახურებ, – განაცხადა კუტუნიომ.

ქეთა თოფურიამ სალომეს მეორე ადგილზე გასვლა ტოტო კუტუნიოს დააბრალა. ის მონაწილეობას იღებდა იურმალაში გამართულ კონცერტებში. როგორც მომღერალმა „ფეისბუქში“ აღნიშნა:

– ყველაფერი კუტუნიოს ბრალია!

სალომე ქათამაძესთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს ბუბა კიკაბიძემ, თამარ ივერმა, თემურ თათარაშვილმა და სხვა ცნობილმა წარმომადგენლებმა.

ცოტნე გამსახურდიამ მიიჩნია, რომ სალომეს არც სცენური იმიჯი აქვს, არც ხმა, არც გარეგნობა! რაღაც სამარცხვინო, გოიმური ღნავილი“. ეს განცხადება მან „ფეისბუქში“ გააკეთა:

– ახლა ვუყურე გუშინდელ კონკურსს იურმალაში... ნეტავ დანარჩენებმა რატომ აწიეს ის მაღალი ქულები, არ მესმის. არც სცენური იმიჯი, არც ხმა, არც გარეგნობა! რაღაც სამარცხვინო, გოიმური ღნავილი და არაბუნებრივი მიმიკების კორიანტელი ვნახე! ამ კონკურსში სხვადასხვა დროს პატრისია კაასი, სარა კონორი, კრის დე ბურგი და სხვები მონაწილეობდნენ. თვალებზე რა გაქვთ აკრული, ხალხო??? ესენი ალბათ ყველაზე დიდი, თათრის მოედნის ბაჩაბაზებს თუ მოაწონებდნენ თავს!

კონკურსის მიმართ დადებითი შეფასებები „ფეისბუქში“ არც ნინი ბადურაშვილს გამოუთქვამს:

– რეებს მღერიან!!!! დავყრუვდი! ან ქულებს როგორ უწერენ! კარაოკეში უფრო კარგად მღერიან ჩვენთან!

სალომე ქათამაძესთან დაკავშირებით კი აღნიშნა:

– სალომე, ბრავო!!! დაცვამ რატო დაგვიწერა 10? ვინ იყო საერთოდ. მოკლედ უნდა მოვიგოთ წელს!.

სოციალურ ქსელში საკუთარი პოზიციის გამოხატვის გარეშე ვერ გაძლოვ ერც მარინა ბერიძემ:

– უჟასიიიიი. გავგიჟდი!!!! ქულებს არიგებენ. მე მგონი, თავის ჭკუაზე არ არიან.

ქეთა თოფურიამ კი ასეთი მოსაზრება გამოთქვა:

– მე საერთოდ არავინ არ მომეწონა. ნინა სუბლატი უნდა წასულიყო.

წლევანდელ „ახალ ტალღას“ სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. როგორც რუსული პრესა იუწყება, კონკურსის თანათავმჯდომარემ, კომპოზიტორმა რაიმონდ პაულსმა საერთაშორისო კონკურსი დატოვა. მან სტუმრის სტატუსზეც კი უარი განაცხადა. კონკურსის დატოვების მიზეზებზე, მაესტრომ „7დეის.რუ“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა:

– არ იქნება ლამაზი ჩემი გამოჩენა: პროტესტს დაემსგავსებოდა. მერთული დამოკიდებულება მაქვს „ახალი ტალღის“ მიმართ. კონკურსი ძალიან შეიცვალა, ახლა ეს ის აღარ არის რასაც ჩვენ 2002 წელს საფუძველი ჩავუყარეთ. ამ პროექტმა საკუთარი თავი ამოწურა. ან რაღაც სხვა უნდა გავაკეთოთ ან საერთოდ დავკარგავთ მაყურებელს. რატომ შევქმენით ეს კონკურსი? რათა გვეპოვა ახალგაზრდა ტალანტები. სად არიან ისინი? მე მიმაჩნია, რომ კანდიდატებს ცუდად არჩევენ, ძალიან ვიწრო ჩარჩოში, „ფორმატით“. არა მგონია, რომ მოუსმინეს ნიჭიერ ახალგაზრდებს სადმე ვლადივასტოკში ან ომსკში. ვინც მოაღწია, ის აირჩიეს. თუ ვინმეს ზურგს ოლიგარქი არ უმაგრებს, ის ვერაფერს მიაღწევს.

რაიმონდ პაულსს მიაჩნია, რომ ამ კონკურსისთვის 11 კაციანი ჟიურიც არ არის საჭირო:

– მე იმის მომხრე ვიყავი, რომ ამდენი ჟიურის წევრი არ ყოფილიყო. მაგრამ, მე მხარს ვუჭერდი მას, ვისაც საჭიროდ ვთვლიდი. დღეს კი რა ხდება: ნებისმიერ ნიჭიერ ადამიანს რაღაც ფორმატში რთავენ, ისეთში, როგორიც ტელევიზიაში ესმით. მათ კი პირველ რიგში რეიტინგი აინტერესებთ. მუდმივად ისმის სტანდარტული ფრაზა: „არ გადართოთ, დარჩით ჩვენთან“. ერთის მხრივ, მე მესმის იგორ კრუტოის, მას ძალიან უტევს მოსკოვი. მას ფული აქვს, მაგრამ ბევრს ვერაფერს წყვეტს. დარწმუნებული ვარ, რომ ახლა, „ახალი ტალღა“, როგორც კონკურსი ცოტა ადამიანს აინტერესებს. აქ განსაკუთრებული ყურადღება უცხოელ სტუმრებს ეთმობა. მე მესმის, რომ კონკურსანტები ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, მათი ვოკალური მონაცემები მაღალი დონის არ არის და მათ პროფესიონალები ჩრდილავენ. მაგრამ კონკურსის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ აქ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი იკრიბება და ერთმანეთს ეჯიბრება. ნუ ისე არ გამოვიდა, როგორც გვინდოდა... ახალი სახელებიც არ აღმოგვიჩენია, ისეთები, რომლებიც თავის სიტყვას დიდი ხნით იტყვიან.

თავის მხრივ, კონკურსის დაწყებამდე ჩატარებულ საგანგებო პრესკონფერენციაზე იგორ კრუტოიმ განაცხადა, რომ:

– არ გაზრდილა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც ახალი ტალღა გადაიცემა, ის კვლავ უცვლელია. რამდენიმე წლის წინ დავუკავშირდი „ევროვიზიის“ ხელმძღვანელობას და შევთავაზე, გავერთიანებულიყავით და ჩვენი კონკურსები მთელი ევროპისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი, მაგრამ მათ ჩვენი წინადადება არ მოიწონეს და ამ წინადადებას არ დათანხმდნენ.

წელს კონკურსში „ახალი ტალღა 2013“ 12 ქვეყნის 16 წარმომადგენელი მონაწილეობდა. კონკურსის პირველ დღეს შოუბიზნესის ვარსკვლავებმა კონცერტი გამართეს, კონკურსანტები ეროვნული დროშებით სცენაზე მოიწვიეს და ჟიურის წევრთა ვინაობა გაახმოვანეს. წელს ახალი ტალღის კონკურსანტები შეაფასეს ვალერი მელაძემ, იგორ კრუტოიმ, ვალერიამ, იგორ მატვიენკომ, იგორ ნიკოლაევმა, ლაიმა ვაიკულემ, კონსტანტინე მელაძემ, ლეონიდ აგუტინმა, მაქსიმ ფადეევმა, ტოტო კუტუნიომ და იური ანტონოვმა. წლევანდელ „ახალ ტალღას“ 12 წამყვანი ჰყავდა.

კონკურსში „ახალი ტალღა 2013“ 12 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის საქართველომ, რუსეთმა, უკრაინამ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა, ინდონეზიამ, გერმანიამ, ლატვიამ, კუბამ, ვიეტნამმა და ყირგიზეთმა. საქართველოს წარადგენდა სალომე ქათამაძე, ყაზახეთს – ადამი, ინდონეზიას – ელვა პეტი, გერმანიას –

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა–ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# სპორტის სამინისტრომ ვეტერანები დააჯილდოვა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ვეტერანი სპორტსმენები და მუნიციპალიტეტების სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე მწვრთნელები და სპეციალისტები საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებით დააჯილდოვა. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე დაესწრნენ.

ამ ადამიანთა დაჯილდოება სამინისტროში არსებული, სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და სოციალური საკითხების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით მოხდა.

საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭათ:

1. სიმონ ზაქარაძე (დაბადებული 1957წ): 1982 წლიდან მუშაობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სპორტულ დაწესებულებებში, დღეს მას უკავია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობა, არის ღირსების ორდენის კავალერი;

2. ვანო ავალიანი (დაბადებული 1953წ): 1974 წლიდან მუშაობდა ქალაქ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის კათედრაზე, 2011 წლიდან იგი მუშაობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი (ფრენბურთი);

3. ვახტანგ ჩიტაძე (დაბადებული 1942წ): ხულოს მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის მეთოდისტ- მასწავლებელი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, არის ღირსების ორდენის კავალერი;

4. პელო წულაია (დაბადებული 1941წ): 1979-2003 წწ. მუშაობდა ქ. ფოთის სპორტკომიტეტში, 2003 წლიდან დღემდე მუშაობს ქალაქ ფოთის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის მთავარ სპეციალისტად;

5. რომან ჩაჩიბაია (დაბადებული 1970წ): 1986-88 წწ. მუშაობდა ქ. ფოთის წყალსათხილამურო სპორტულ კლუბში, 1988-93 წწ. ქ. ფოთის წყალსათხილამურო სპორტის ეროვნულ ფედერაციაში მწვრთნელად, 1993-2003 წწ. წყალსათხილამურო სპორტში საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად. 2003 წლიდან დღემდე არის წყალსათხილამურო სპორტის სკოლის დირექტორი;

6. ნუგზარ ლემონჯავა (დაბადებული 1949წ): 1971 წლიდან მუშაობდა ფიზკულტურის პედაგოგად, 1976 წლიდან ქ. ფოთის სასპორტო სკოლაში მწვრთნელად შემდგომში სასწავლო ნაწილის გამგე, 1998-2005 წლებში „კოლხეთი-ს"-ის მწვრთნელად, 2005 წლიდან დღემდე ქ. ფოთის ფეხბურთის სასპორტო სკოლაში მთავარ მწვრთნელად, ხოლო შემდგომ დირექტორის მოადგილედ.

7. ვლადიმერ ახალკაცი (დაბადებული 1951წ): საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომის არჩეული წევრი, მინიჭებული აქვს მსოფლიო კრივის ფედერაციის ტექნიკური დელეგატის წოდება, არის აღმასკომის მსაჯთა კომისიის წევრი. იყო აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი;

8. შოთა ჯავახიშვილი: 1978 წლიდან მუშაობს ქ.ქუთაისის სპორტული სკოლის კალათბურთის მწვრთნელად.

9. ზურაბ მარკოზაშვილი (დაბადებული 1941წ): 1990 წლიდან არის ააიპ „თელავის სპორტული გაერთიანების" მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

10. ჯონი ცივაძე (დაბადებული 1961წ): ვეტერანი ველომრბოლელი, ველოსპორტში აჭარის ნაკრების მწვრთნელი.

11. ველოდი მიმინოშვილი (დაბადებული 1938წ): ვეტერანი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ფეხბურთში.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. დარეჯან გეფერიძე (დაბადებული 1953წ): ვეტერანი ხელბურთელი და ხელბურთის მწვრთნელი, 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელით.

2. ჯემალ კვანტალიანი: ვეტერანი მოკრივე, სპორტის დამსახურებული მუშაკი, კრივის ეროვნული ფედერაციის გამგეობის წევრი, 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით;

3. გენადი გურალია: ვეტერანი სპორტსმენი, წყალსათხილამურო სპორტში ტრამპლინიდან ხტომაში, ფიგურებსა და სლალომში მსოფლიო და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი წყალსათხილამურო სპორტში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებებისთვის;

საქართველოს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭოთ:

თბილისის „დინამოს" საბჭოთა კავშირის ჩემპიონობიდან 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით:

ფირუზ კანთელაძე: თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი;

დავით გოგია: თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი;

# რობერტო მანჩინი: უცხოეთში მუშაობა და გამოცდილების დაგროვება მინდა

იტალიელი სპეციალისტი რობერტო მანჩინი 48 წლისაა და უკვე ფლორენციის „ფიორენტინას", რომის „ლაციოს", მილანის „ინტერის" და „მანჩესტერ სიტის" გაწვრთნა მოასწრო. შეიძლება ითქვას, მისი სამწვრთნელო კარიერა წარმატებულია. ყველა კლუბში ტიტული მოიგო, თუმცა, ამჟამად უმუშევარია, მაგრამ ფიქრობს, რომ დიდხანს უსაქმოდ ყოფნა არ მოუწევს.

მანჩინისთან ინტერვიუ იტალიურ მედიაში გამოქვეყნდა.

***— „მანჩესტერ სიტიში" სეზონის დამთავრებამდე გაგათავისუფლეს. როგორ ფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება უსამართლო იყო?***

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც „სიტისთვის" გავაკეთე, კლუბის ხელმძღვანელებისგან მეტ პატივისცემას ვიმსახურებდი. სამწლინახევრის განმავლობაში გუნდს პრემიერლიგის ჩემპიონობა, ასოციაციის თასი, ქვეყნის სუპერთასი მოვაგებინე. ყველაზე ცუდ სეზონში კი ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ და თასის ფინალი წავაგეთ. სტატისტიკა ბევრის მთქმელია. „სიტის" ჩემი დათხოვნის საფუძველი და საბაბი არ ჰქონდა. ყველაფრის მიუხედავად, ვამაყობ იმით, რასაც ინგლისში მუშაობისას მივაღწიე.

***— მანუელ პელეგრინის განკარგულებაში ბრწყინვალე გუნდი დახვდა, რომელსაც ბევრის მიღწევა შეუძლია.***

— პელეგრინი მეტად მაღალი კლასის სპეციალისტია და დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისში წარმატებით იმუშავებს. თამამად ვიტყვი — „მანჩესტერ სიტი" უკვე ტოპკლუბად ჩამოყალიბდა.

***— ინგლისში გულშემატკივრების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეთ, ასე იტალიაში არ გაფასებდნენ.***

— სიმართლე გითხრათ, ბრიტანეთთან ადაპტირება გამიჭირდა, მაგრამ პრემიერლიგას მალევე ავუღე ალღო, პუბლიკასთანაც საერთო ენა გამოვნახე, კოლეგებთან ურთიერთობები დავალაგე და ავაწყვე. „სიტისგან" განთავისუფლების შემდეგ დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი. ერთ-ერთი პირველი სერ ალექს ფერგიუსონი დამიკავშირდა. მასთან მეტად კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა.

***— რამდენად უარყოფითად იმოქმედებს „სიტიზე" მარიო ბალოტელის წასვლა?***

— კარგა ხნის წინ შევამჩნიე, რომ ბალოტელი ინგლისში თავს არაკომფორტულად გრძნობდა. ის და ლუის სუარესი მეტოქეების, არბიტრების, მაყურებლების სამიზნე იყვნენ. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მარიოს ზოგიერთი მომენტის თავიდან აცილება შეეძლო.



***— თქვენი და ბალოტელისთან წაკინკლავების ფოტომ მთელი მსოფლიო მოიარა.***

— არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. საწვრთნელი პროცესისას შევამჩნიე, რომ ბალოტელი პარტნიორს უხეშად მოექცა და მას წესრიგის დაცვისკენ მოვუწოდე. ყოველივე ეს 30 წამი გაგრძელდა. მერე კი, ჟურნალისტები სკანდალური ისტორიის გაბერვას შეეცადნენ.

***— ბალოტელის გაცილებით მეტი გაუკეთეთ, ვიდრე მან თქვენ და „სიტის" მისცა.***

— მარიო ბრწყინვალე ფეხბურთელია. იგი 17 წლისა იყო, როდესაც სერია ა-ში თავის გამოჩენის შანსი მივეცი, 21 წლისას კი ინგლისურ პრემიერლიგაში დავუძახე. ყველას კარგად მოგეხსენებათ ჩემი ბალოტელისადმი დამოკიდებულება — მარიო ძალიან მიყვარს. მას შინ დაბრუნება სურდა და მეც დაგეგმილზე ნახევარი წლით ადრე ამის განხორციელების საშუალება მივეცი.

***— ბალოტელისთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ?***

— მას შემდეგ, რაც იტალიაში დაბრუნდა, მარიოსთან არ მისაუბრია.

***— კარლოს ტევესზე რას იტყვით?***

— თამამად ვიტყვი, მისი სახით ტურინის „იუვენტუსმა" მეტად კარგი შენაძენი გააკეთა. ზოგიერთი არგენტინელის შესაძლებლობებს აკნინებს, „ბებერმა ქალბატონმა" კი მისი გადაბირებით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა კონკურენტების უფრო მეტად უკან დატოვების საქმეში. ტევესთან ერთად „იუვეს" ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლის რეალური შანსი მიეცა. იტალიაში კარლოსი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. მე ყველა ზომას ვიხმარდი ტევესის მანჩესტერში დასატოვებლად.

***—დალაგებული ურთიერთობა ტევესთანაც არ გქონიათ.***

— ტევესმა მიუნხენის „ბაიერნთან" მატჩის მსვლელობისას შეცვლაზე შესვლა იუარა. მე მას დავურეკე და მოვთხოვე, პარტნიორებისთვის ბოდიში მოეხადა. ტევესმა ეს არ გააკეთა. კარლოსს იმხანად გარკვეული სახის პრობლემები ჰქონდა, მაგრამ რამდენიმე თვეში მწყობრში ჩადგა და „სიტის" დიდი დახმარება გაუწია.

***— ფეხბურთელებთან უთანხმოება ხშირად მოგდით.***

— მეტად მომთხოვნი მწვრთნელი ვარ, ვაღიარებ, ხანდახან ზედმეტიც მომდის, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ მოთამაშეებს დავეხმარო. „სიტიდან" გაშვების ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, ჩემთან თანამშრომლობა იოლი რომ არაა.

***— პსჟ-დან მოწვევას ელოდით?***

— რატომ უნდა დავლოდებოდი? პარიზელებთან კონტაქტი არ მქონია. 14 წლიანი სამწვრთნელო მუშაობის დროს მხოლოდ მეორედ მომეცა დასვენების საშუალება, პსჟ-ს რაც შეეხება, ეს კლუბი ევროგრანდი გახდება.

***— საუბრობდნენ, რომ „მონაკოს" ვარიანტს განიხილავდით.***

— „მონაკოსგან" წინადადება არ მიმიღია. კლაუდიო რანიერი მშვენიერი მწვრთნელია და მაღალ დონეზე მუშაობას იმსახურებს.

***— ჟოზე მოურინიო „ჩელსიში" დაბრუნდა, პეპ გვარდიოლამ „ბაიერნი" ჩაიბარა. რას იტყვით?***

— „ჩელსი", „მანჩესტერ იუნაიტედთან" და „სიტისთან" ერთად პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, თუმცა, „ტოტენჰემის", „არსენალისა" და „ლივერპულის" შანსსაც ნუ გამოვრიცხავთ. ეჭვიც არ მეპარება, გვარდიოლა გერმანიაში წარმატებას მიაღწევს, თუმცა, შარშანდელი წარმატების გამეორება რთული იქნება.

***— იტალიაში დასაბრუნებლად მზად ხართ?***

— არა, ჯერ კიდევ უცხოეთში მუშაობა და გამოცდილების დაგროვება მინდა. პრიორიტეტს ესპანეთსა და ინგლისს ვანიჭებ. მზად ვარ განვიხილო სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა, ჯერჯერობით არ მეხმიანებიან.

***— სადღეისოდ ფეხბურთში მაყურებლის სტატუსს დაჯერდებით?***

— იმედია, ამგვარ მდგომარეობაში დიდხანს არ ვიქნები. ბოლოს და ბოლოს, არიან კლუბები, რომელთა ხელმძღვანელებს ფეხბურთი ესმით.

# დინამოს რუმინელებთან უპირატესობა აქვს

დღეს, ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისელთა მეტოქე ხომ რუმინეთის ჩემპიონი „სტიაუაა". თბილისის „დინამო" ევროთასების ისტორიაში მხოლოდ ორჯერ გადაეყარა რუმინელების გუნდს და ორივეჯერ გამოთიშა. 3 მოგება, 1 ფრე — ასეთია დინამოელთა უპირატესობა ვლახებთან. დინამოელებს მორიგ დაპირისპირებაშიც წარმატებებს ვუსურვებთ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „სტიაუა" გაცილებით მაღალი დონეა და მაინცდამაინც არც „დინამოს" ულხინს.

ქართულ-რუმინული პირველი საევროტურნირო ჯახი 1987 წელს შედგა, როდესაც დინამოელები 5-წლიანი პაუზის შემდეგ გავიდნენ ევროტურნირებზე და ოცდამეთორმეტედფინალში სოფიის „ლოკომოტივს" აჯობეს (1:3, 3:0), ხოლო შემდეგ ბუქარესტის „ვიქტორია" შეხვდათ.

„დინამომ" სტუმრად გამართულ პირველივე მატჩში მოიპოვეს ფორა: სოსო ჭედიამ ლამაზი თავურით გახსნა ანგარიში, ხოლო ლეგენდარულმა რამაზ შენგელიამ ასევე თავით ორამდე გაზარდა უპირატესობა. მართალია, შემდეგ რუმინელებმა პენალტი გაიტანეს, მაგრამ ჩვენების უპირატესობა ნათელი იყო.

საპასუხო მატჩში გოლი არ გასულა. ქართველები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ბოლოში გაუჭირდათ, როდესაც მალხაზ არზიანი გააძევეს და 10 კაცით დარჩნენ.

„ვიქტორიას" გავლის შემდეგ, დინამოელები ბრემენის „ვერდერს" შეხვდნენ. ეს მატჩები სტაჟიან ქომაგებს კარგად ეხსომებათ, ხოლო ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ სტუმრად 1:2 წავაგეთ (გოლი შენგელიამ გაიტანა), შინ კი თენგიზ სულაქველიძის გოლით 1:0-ს ვიგებდით და თომას შააფმა გაათანაბრა.

მეორე ქართულ-რუმინული დაპირისპირება უკვე დამოუკიდებლობის პერიოდში, 1994 წელს შედგა. მეტოქე „ვიქტორიაზე" ბევრად სახელოვანი, კრაიოვას „უნივერსიტატეა" გახლდათ.

თბილისურ მატჩში პირველი გოლი გიორგი ქინქლაძემ გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმში შოთა არველაძემ ზუსტად შეასრულა პენალტი — 2:0.

საპასუხო მატჩში ინტრიგა დასაწყისშივე მოისპო, როდესაც მიხეილ ყაველაშვილმა ანგარიში გახსნა. მართალია, მეორე ტაიმში კრაიოველებმა გაათანაბრეს და მალევე, პენალტი ვერ გამოიყენეს, თუმცა ისევ ქინქლაძემ მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა.

თუმცა, დინამოელები შემდეგ ეტაპზევე გამოვარდნენ ავსტრიის „ტიროლთან". თბილისში რეზო არველაძის პენალტით 1:0 კი მოვიგეთ, მაგრამ საპასუხო მატჩში 1:5 წავაგეთ.

რუმინელ კლუბებთან სამი ამხანაგური მატჩიც გვაქვს გამართული და უპირატესობა აქაც თვალნათელია. ეს შორეულ, 1945 წელს მოხდა, როდესაც „დინამო" ტურნეში იმყოფებოდა. „კლუჟთან" 2:1, „ტიმიშოარასთან" 5:0 და „იუვენტუსთან" 10:5.

ვნახოთ, რა იქნება მომდევნო დაპირისპირებაში.

# სლოვენია ამხანაგურებს იგებს

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის სლოვენიაში ემზადება, ევრობასკეტზე ჩვენი მეტოქე სლოვენიამ კი ამასობაში 2 საკონტროლო მატჩი გამართა. ევროპირველობის მასპინძელმა სლოვენიელებმა 26 ივლისს უკრაინას უმასპინძლეს, ხოლო 28-ში მაკედონიას შეხვდნენ და ორივე მატჩში გამარჯვებას მიაღწიეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერები აკლდა, ბოჟიდარ მალკოვიჩის გუნდს უკრაინელების ძლევა არ გასჭირვებია. ბოსტიან ნახბარის, იაკა ლაკოვიჩის და მირზა ბეგიჩის გარეშე სლოვენიელებმა სლავები 74:46 გაანადგურეს. მაკედონიასთან ბეგიჩმა ითამაშა, გორან დრაგიჩი კი განაცხადში არ იყო. სლოვენიელებს შედარებით გაუჭირდათ გამარჯვების მოპოვება. ბოლო მეოთხედის წინ მაკედონია 53:47 აგებდა, თუმცა ბოლო პერიოდი სლოვენიამ 16:1 (!) მოიგო და საბოლოოდ 63:54 იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ მაკედონიას 2 ლიდერი — პერო ანტიჩი და ნატურალიზებული ამერიკელი ბო მაკალები აკლდა.

სლოვენიელთაგან გასპერ ვიდმარი გამოირჩა, რომელსაც ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა – 9 ქულა და 10 მოხსნა. 11-11 ქულა მოაგროვეს ნებოისა იოკსიმოვიჩმა დაზორან დრაგიჩმა, იაკა ბლაჟიჩი კი 10 ქულას დასჯერდა. და ერთიც. თუ უკრაინასთან ფარზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა (37:34), მაკედონიას სლოვენიამ მოხსნებში აშკარად აჯობა — 35:17.

სლოვენიის ნაკრებს კიდევ 11 საკონტროლო მატჩი დარჩა, სანამ ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს და სლოვენიის ნაკრებები ერთმანეთს 7 ივლისს, ცელიეში დაუპირისპირდებიან.

**2 აგვისტო:** სლოვენია — ლატვია (ცელიე)

**3 აგვისტო:** სლოვენია — თურქეთი (ცელიე)

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**ფეხბურთი**

**კონკაკაფის ოქროს თასი**

**ფინალი**

აშშ-პანამა ........ 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მიუნხენ 1860-ფრანკფურტი ........ 2:1
კოტბუსი-პადერბორნი ........ 4:0
კიოლნი-ფორტუნა ........ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-ცსკა ........ 1:2
კრ.სოვეტოვი-ანჟი ........ 1:1
ტერეკი-რუბინი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სპარტაკი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2.როსტოვი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 3.ცსკა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 4.ყუბანი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 5.რუბინი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 6.ამკარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 7.ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 8.ვოლგა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 9.ზენიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 10.დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 11.ანჟი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 12.ტერეკი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 13.კრასნოდარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 14.კრ.სოვეტოვი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 15.ურალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 16.ტომი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ციურიხი ........ 3:2
სიონი-სტ.გალენი ........ 0:1
იანგ ბოიზი-თუნი ........ 3:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-გროდიგი ........ 0:2

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ლოკერენი ........ 2:3
მეხელენი-სტანდარდი ........ 0:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სპარტა-იაბლონეცი ........ 2:1
ლიბერეცი-სლავია ........ 2:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

პიასტი-ზაგლებიე ........ 2:1
შლიონსკი-იაგელონია ........ 2:3
ლეხი-კრაკოვია ........ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ტავრია-ჰოვერლა ........ 1:3
შახტარი-ჩერნომორეცი ........ 1:0
დინამო-სევასტოპოლი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ოდენსე ........ 1:1
სონდერიისკე-ბრონდბიუ ........ 1:0
მიდტიულანდი-კოპენჰაგენი ........ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ჰელსინბორგი ........ 2:4
გეფლე-მალმიო ........ 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტრომგოდსეტი-ჰონეფოსი ........ 6:1
ბრანი-რუსენბორგი ........ 1:4
სონგდალი-ჰაუგესუნდი ........ 1:1
ოდ გრელანდი-ტრომსო ........ 3:1
ვიკინგი-სტარტი ........ 3:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-კუუპიო ........ 2:2
*ინტერელთა მე-2 გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*
ლახტი-ჰონკა ........ 0:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

ლიმერიკი-დერი ........ 0:1

**აშშ. მლს**

სიეტლი-ჩივასი ........ 2:1

**ბრაზილია. სერია ა**

ბაია-გოიასი ........ 2:1
კურიტიბა-ვიტორია ........ 1:1
ფლამენგო-ბოტაფოგო ........ 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ანიტა რაჭველიშვილი ქველმოქმედებისთვის იმღერებს

ეკა ირემაშვილი

**პირველ აგვისტოს ცნობილი ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი ქველმოქმედებისთვის იმღერებს. ევგენი მიქელაძის ეროვნულ მუსიკალური ცენტრის წინ ღია ცის ქვეშ გაიმართება სეზონის გრანდიოზული დახურვა, რომელშიც მონაწილეობას ანიტას მეუღლე იტალიელი რიკარდო მასსიც მიიღებს. ის პირველად წარდგება ქართველი მსმენელის წინაშე.**

საქველმოქმედო აქციაში ასევე ჩართულები იქნებიან სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა, დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი, ასევე ცნობილი ქართველი საოპერო შემსრულებლები – მაყვალა ასპანიძე, ნიკოლოზ ლაგვილავა, ლევან მაკარიძე, გოჩა დათუსანი.

საქველმოქმედო კონცერტი პროგრამაშია – ჯუზეპე ვერდის „აიდა“ და ზაქარია ფალიაშვილის სცენები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებისადმი ერთ-ერთი მოთხოვნაა – დრეს კოდი, ანუ ყველა დამსწრე ვალდებულია პირველ აგვისტოს საქველმოქმედო კონცერტზე საღამოს კაბით მივიდეს.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, ეს იქნება მუსიკალური დეფილე ალმაშენებლის გამზირზე. სცენა მოეწყობა მუსიკალური ცენტრის კიბეებზე, დაიგება წითელი ხალიჩა, დარიგდება ღვინო, მოეწყობა ფუდ ფესტივალი, ამ კონცერტში ჩართული იქნება „ჯორჯიან ბრასიც“.

– პირველ აგვისტოს საღამოს 9 საათზე ნიკოლოზ რაჭველი-მემანიშვილი სეზონის დახურვის სადღესასწაულო ცერემონიალზე გვიწვევს. ცენტრის წინ, ღია ცის ქვეშ სპეციალურად აგებულ სცენაზე, ჩვენთვის იმღერებენ უძვირფასესი ანიტა რაჭველიშვილი, მოწვეული შესანიშნავი სოლისტი რიკარდო მასსი. მათ სხვა ქართველი საოპერო მომღერლებიც შეუერთდებიან. ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ბავშვებს მოხმარდებათ, მათ ვისაც მუსიკის შესწავლა უნდათ. ასეთი ბავშვები წეროვანში ცხოვრობენ და ყველა ჩვენგან ცალ-ცალკე მოგვწერეს და დახმარება გვთხოვეს. საქველმოქმედო კონცერტის აუცილებელი ნაწილია საღამოს ჩაცმულობა, ანუ 1 აგვისტოს ყველანი საღამოს კაბებით!!! 10 საათზე ცენტრის გვერდით მდებარე ბაღში ფუდ-ფესტივალი მოეწყობა ჯორჯიან ბრასთან ერთად, ეს ნაწილიც მშვენიერი იქნება, – ამბობენ ღონისძიების ორგანიზატორები.




საქველმოქმედო საღამოს მთავარი დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი აცხადებს:

– პირველ აგვისტოს გელით ემოციებით, შთაბეჭდილებებით, დაუღალავი შრომით, სირთულეებითა და სიხარულით, ენთუზიაზმითა და ჟინით სავსე ჩვენი მიმდინარე სეზონის მასშტაბურ დახურვაზე! მუსიკალური ცენტრის, ორკესტრისა და კაპელის სახელით კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩვენს ერთგულ მსმენელს, ყველა გულშემატკივარსა და თანამებრძოლს, ხოლო პირადად ჩემგან დიდი მადლობა ორკესტრისა და კაპელის თითოეულ წევრს, ცენტრის თანამშრომლებს, დიდ მაესტროებს, სახელოვნებო საზოგადოების წევრებს, რომლებიც უანგაროდ დამიდგნენ გვერდში ჩემთვის ესოდენ რთულ პერიოდში და აგრეთვე ჩემს მოწინააღმდეგეებსაც, რომლებიც გამუდმებით არ მაძლევენ შემოქმედებით პროცესებში მოდუნების საშუალებას! ჩვენ, მონაწილენი, ყველას გიხმობთ და გელით ჩვენს აქცია-კონცერტზე პირველ აგვისტოს საღამოს ჩაცმულობით ზაქარია ფალიაშვილისა და ჯუზეპე ვერდის გენიალური ქმნილებების მოსასმენად.

ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში უწყვეტი რეპეტიციებია. უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცოსოპრანო სპეციალურად ამ დღისთვის საღამოსთვის ჩამოვიდა საქართველოში.

– პირველ აგვისტოს მზიანი ამინდი გველოდება. „გაყინული“ დამსვენებლები დედაქალაქში დაბრუნდნენ, ძალიან მეწყინა-თქო ვერ ვიტყვი, რადგან რამდენიმე დღე თითქმის ყველა თბილისში აპირებს დარჩენას და პირველ აგვისტოს საღამოს კაბებში შემოსილები მუსიკის ეროვნული ცენტრის სეზონის დახურვის ცერემონიალს შემოუერთდებიან. საღამო საქველმოქმედოა და ჩვენ ყველანი ერთად აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ბავშვებს დავეხმარებით, ეს ბავშვები ამჟამად სკაში ცხოვრობენ და მუსიკის შესწავლის დიდი სურვილი აქვთ. საღამოს მთავარი მისიიდან გამომდინარე, მოსაწვევები არ იბეჭდება და ყველა ბილეთი გაიყიდება, ფასები კი ნამდვილად დაბალია, – ამბობს ანიტა რაჭველიშვილი.

# რა მომავალი აქვს „ქართულ ოცნებას“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

აგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებშიც რეგიონებსა და დედაქალაქში თვით „ქართული ოცნების კოალიციის სუბიექტები უპირისპირდებიან ერთმანეთს. ანგარიშსწორების ხარისხი იმ უმაღლეს ნიშნულამდეა ასული, რომ ამის იქით მხოლოდ ფიზიკური დაპირისპირებები და მეტად სახიფათო პროცესების განვითარების რისკი იზრდება.

კოალიციის სუბიექტებიდან ყველაზე მეტს რესპუბლიკელები აქტიურობენ, ამ ფონზე ფაქტობრივად აღარ ჩანს სხვა სუბიექტების როლი და ფუნქციები, მაგალითად ივანიშვილს შეეძლო 1 ოქტომბრის შემდეგ საკუთარი პოლიტიკური პარტიის გაძლიერებისთვის აქტიური ქმედებები დაეწყო, თუმცა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ მხოლოდ რეგიონებში ჩანს, თანაც ყველაზე უარყოფითი კუთხით, მისი აქტივისტები უპირისპირდებიან არა მხოლოდ ნაცმოძრაობის წევრებს, არამედ კოალიციის სხვა სუბიექტებსაც, ივანიშვილმა კი ვერ შეძლო ამ პროცესების შეკავება და მთლიანად აღმოფხვრაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ივანიშვილი თუ ხელისუფლებიდან მიდის, ის არ მიდის პოლიტიკიდან, ასეთი მოსაზრება მოვისმინეთ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილისგან, მაგრამ თუ ივანიშვილი პოლიტიკიდან არ მიდის, მან პოლიტიკური ლიდერის როლი უნდა გაითავისოს და არასამთავრობო სექტორში გადაბარგება კი არ იჩქაროს, არამედ ჯერ საკუთარი პოლიტიკური პარტიის გაძლიერებაზე იზრუნოს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაძლიერდეს ისე, როგორც გაძლიერდა თავის დროზე ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის ხელში და გადაიქცა სააკაშვილის მარიონეტად, მაგრამ ელემენტარული პოლიტიკური ანაბანა იციან პოლიტიკოსებმაც და ამ სფეროს სპეციალისტებმაც, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია საკუთარ გაძლიერებაზე და ფეხზე მყარად დადგომაზე ზრუნავს. ივანიშვილის ხელში „ქართული ოცნება“ კონკურენტუნარიან პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა, ამაზე მინიშნებებს აკეთებენ ექსპერტები და ურჩევენ ივანიშვილს თავის პარტიას მიხედოს და საზოგადოებრივ სექტორში გადასვლაზე მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროს.

კოალიციის სუბიექტების ერთმანეთთან დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ ეს კოალიცია საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ერთიანობას ვერ შეინარჩუნებს და აქმზარდი ამბიციების მქონე რესპუბლიკური პარტია პოლიტიკური ლიდერის ადგილის დასამკვიდრებლად ნებისმიერი მეთოდით იბრძოლებს, ამ შემთხვევაში იზრდება სხვა პარტიების მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი „ქართული ოცნების“, რომლის პოლიტიკური მდივანი ელისო ჩაფიძე სულ ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად პირადი სურვილით გადადგა ამ პოსტიდან. მის ადგილზე ირინა იმერლიშვილი დაინიშნა, რომელიც ყოფილი რესპუბლიკელია. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებს არც მათი პოლიტიკური გააქტიურება შეინიშნება, ყოველ შემთხვევაში ტელევიზიებში მათი გამოჩენა მხოლოდ შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს უკავშირდებოდეს და არა ყოველდღიურ დებატებს.

საპრეზიდენტო კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ მარგველაშვილი ამ პარტიის სახე არ არის, ის უპარტიოა, ამ არჩევნების შემდეგ საინტერესო პროცესების მოწმენი გავხდებით, „ქართული ოცნება“ როგორც პოლიტიკური ძალა გაძლიერდება ან ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ პირიქით უპერსპექტივო პოლიტურ ორგანიზაციად დარჩება და შეუერთდება ურეიტინგო პარტიებს.

# სლოვენია ამხანაგურებს იგებს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**4 აგვისტო:** სლოვენია – სერბეთი (ცელიე)
**10-11 აგვისტო:** ბელგრადის ტურნირი (სერბეთი, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა)
**16 აგვისტო:** სლოვენია – ბოსნია-ჰერცეგოვინა (იესენიცე)
**18 აგვისტო:** სლოვენია – რუსეთი (ლიუბლიანა)
**23 აგვისტო:** სლოვენია – ჩერნოგორია (კოპერი)
**24 აგვისტო:** სლოვენია – იტალია (კოპერი)
**31 აგვისტო:** სლოვენია – საფრანგეთი (ლიუბლიანა)

**სლოვენია – უკრაინა 74:46 (19:10, 24:10, 20:12, 11:14)**

**სლოვენია:** ბლაჟიჩი (13 წ. 10 ქ.). გ.დრაგიჩი (17 წ. 10 ქ. 4 პ.), დ.ლორბეკი (20 წ. 2 ქ.), ვიდმარი(21 წ. 9 ქ. 4 მ. 4 ჩ.), ბალაჟიჩი (22 წ. 6 ქ.); სლოკარი (22 წ. 4 ქ. 3 მ. 3 ჩ.), ლაპორნიკი (4 წ. 2 ქ.),იოკსიმოვიჩი (15 წ. 1 ქ. 5 პ.), მურიჩი (14 წ. 13 ქ. 4 მ.), მორინა (18 წ. 4 ქ. 8 მ.), პრეპელიჩი (16 წ. 2ქ. 3 პ.), ზ.დრაგიჩი (18 წ. 11 ქ. 5 მ.).

**სლოვენია – მაკედონია 63:54 (20:21, 12:17, 15:15, 16:1)**

**სლოვენია:** ბლაჟიჩი (26 წ. 10 ქ. 3 მ.), ვიდმარი (24 წ. 9 ქ. 10 მ.), პრეპელიჩი (20 წ. 3 ქ. 4 პ.),ბალაჟიჩი (25 წ. 1 ქ. 6 მ.), ზ.დრაგიჩი (18 წ. 11 ქ.); სლოკარი (18 წ. 8 ქ. 6 მ.), იოკსიმოვიჩი (27 წ. 11ქ. 3 პ.), მურიჩი (5 წ.), დ.ლორბეკი (24 წ. 5 ქ.), ბეგიჩი (12 წ. 2 ქ. 3 მ.), მორინა (1 წ. 3 ქ.).

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სალომე ქათამაძე: „ერთი ქულა შემთხვევით წავაგეთ!“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლიდნა თეოდოსიუ, ლატვიას – პეტერის უპელნიეკსი, კუბას – რობერტო კელ ტორესი, ვიეტნამს – ვინ კუატი, ყირგიზეთს – აიბეკ ბაკიტბეკოვი, სომხეთს – მერი მნჯოიანი, აზერბაიჯანს – ჩინგიზ მუსტაფაევი. ორი კონკურსანტი ჰყავდა უკრაინას – არკადი ვაიტიუკი და ოლგა დიბროვა, ხოლო რუსეთს – 4 კონკურსანტი: „ფრუქტი“, არსენი ბოროდინი, „სანტა ბარბარა“ და იულია ტერეჩენკო.

საქართველო „ახალ ტალღაზე“ 5 წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. კონკურსში მონაწილეობა ქართველმა კრონკურსანტებმა ბოლოს 2008 წელს მიიღეს. მაშინ საქართველო დუეტმა „ჯორჯიამ“ წარადგინა და პირველი ადგილიც დაიმსახურა, თუმცა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ამ კონკურსზე ქართველი მომღერლები აღარ წასულან. იურმალაში გამარჯვება დუეტ „ჯორჯიამდე“ 1989 წელს სოსო პავლიაშვილმა მოიპოვა სიმღერით „სამშობლო“. სხვადასხვა წლებში კი ამ კონკურსში მონაწილეობდნენ ნინი შერმადინი, ქრისტინე იმედაძე, ლიკა ხანთაძე, სოფო ხალვაში. ამჯერად იურმალაში საქართველო კვლავ ჩავიდა და ამ კონკურსზე დუეტი „ჯორჯიაც“ დაბრუნდა. სალომე ქათამაძემ ეროვნულ ტურში რატი დურგლიშვილთან და მაკა ზამბახიძესთან ერთად იმღერა. დუეტმა „ჯორჯიამ“ მონაწილეობა მიიღო ლეონიდ აგუტინის შემოქმედებით საღამოშიც. წელს იურმალა ქართველი მომღერლების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდა. ვალერი მელაძესთან ერთად სცენაზე იდგნენ სოსო პავლიაშვილი, თამარ გვერდწითელი, დუეტი „ჯორჯია“ და თავად კონკურსანტი სალომე ქათამაძე.

კონკურსანტთა მონაწილეობით შეიქმნა საგანგებო ბარელიეფი, რომელიც ბრინჯაოში ჩამოისხმება და კონკურსის დიდების ხეივანში განთავსდება. „ახალი ტალღის“ ორგანიზატორებმა დაამზადეს საფოსტო მარკები კონკურსანტთა გამოსახულებებით, მოუწყვეს მათ თევზის დღე, გამოსცეს სპეციალური ალბომი „ახალი ტალღა 2013“.

კონკურსანტთა გასამხნევებლად სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ იოსებ კობზონი, კრისტინა არბაკაიტე, ვალერი ლეონტიევი, ვალერია, ვალერი მელაძე, კონსტანტინე მელაძე, სოსო პავლიაშვილი, ირინა დუბცოვა, სერგეი ლაზარევი, ინტარს ბუსულისი, პოლინა გაგარინა, დიმა ბილანი, ლეონიდ აგუტინი, ლაიმა ვაიკულე, ანჟელიკა ვარუმი. შოუბიზნესის წარმომადგენლებმა კონკურსანტებისთვის მასტერ კლასიც ჩაატარეს. კონკურსის დახურვის ცერემონიალზე კი ცნობილმა მომღერლებმა კონკურსანტებთან ერთად სიმღერა „ნახვამდის, იურმალა“ შეასრულეს.

# უნიკალური აღმოჩენა ბაგინეთში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ებში და ერთიმეორესთან ე.წ. უწყვეტითაა გადაბმული; წყობა უდუღაბოა; მეორე: მშენებლობაში გამოყენებულია დუღაბი. არმაზციხეში აღმოჩენილია გალავნის ნანგრევები, კოშკები, ბურჯები, სამეფო რეზიდენციის ნაგებობანი, მათ შორის, სვეტებიანი დარბაზი, აბანო, ღია და დახურული წყალსადენი, სამეფო აკლდამის, მავზოლეუმის ნანგრევები, დიდი რაოდენობით ოქრო-ვერცხლის ნივთები მეფის ასულის სამარხ-სარკოფაგში. მნიშვნელოვანი საქალაქო და სამეფო ნაგებობანი გადახურული ყოფილა მცხეთური ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტით.

არმაზციხის, როგორც პოლიტიკური და სტრატეგიული ცენტრის, მნიშვნელობა დაეცა თბილისის დედაქალაქად გახდომის შემდეგ, სტეფანოზ I-ის დროიდან. არმაზციხე მოაოხრეს არაბებმა, – ამბობს არქეოლოგი.

2011 წლის 21 ოქტომბერს არმაზში ქართველმა არქეოლოგებმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს უნიკალურ ხელნაკეთი ნაკეთობები აღმოაჩინეს.

– არმაზი დიდი ხანი იყო მეფეთა რეზიდენცია, მაგრამ VII საუკუნეში მურვან ყრუს შემოსევის დროს დიდი ზიანი მიადგა, ხოლო შემდგომი მონგოლებისა და თურქების შემოსევების შემდეგ აღარც აღდგენილა. მონგოლთა შემოსევების შემდგომ წარმართული ქალაქის ადგილას აუშენებიათ მონასტერი. XIX საუკუნის ბოლოსათვის აქ არსებობდა სამი ეკლესია, რომელთაც გარს ნანგრევები ერტყა. მას შემდეგ, რაც თბილისი დედაქალაქი გახდა, არმაზის ციხემ პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა. არმაზის ციხეზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო XIX საუკუნის 90-იან წლებში ილია ჭავჭავაძისა და დავით ბაქრაძის თაოსნობით, ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობითა და ირაკლი ოქრომჭედლიშვილის სახსრებით. გაითხარა ერთ-ერთი ნაგებობის ნანგრევები. გათხრები 900-იანი წლების დასაწყისშიც გაგრძელდა დავით ქუთათელაძის ხელმძღვანელობით.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები ერთობლივად გადაწყვეტენ, რა ღონისძიებები დაგეგმონ სამომავლოდ, რომ ეს ყველაფერი მომავალ თაობებს შეუნარჩუნდეთ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულისნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც ელექტროდენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მსხვერპლად შეწირული რამე; 14. ჰორმონი, რომელსაც თირკმელზედა ჯირკვალი გამოიმუშავებს; 15. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიული ელემენტი; 17. ტაივანის დედაქალაქი; 19. იტალიური რესტორანი; 21. სურნელოვანი ბოსტნეული მცენარე; 22. ტყის ხილი.

**თარაზულად:** 1. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 5. მუსულმანთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 16. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 17. პარაზიტი მკბენარა მწერი; 18. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. მოსაჭრელი ტყის ხარისხიანობის მაჩვენებელი; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. დაპყრობილი ტერიტორიის მონღოლი მმართველი ძველად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**შვეულად:** 1. არმანიაკი; 6. პლასტუნი; 7. ინსაიდი; 9. ლანსიე; 10. მინა; 11. კასტეტი; 13. რაფია; 15. პარიკი; 17. ნიტრონი; 18. კიმონო; 19. აპათია; 20. მარადია.

**შვეულად:** 1. არიოზო; 2. იუდა; 3. პლასტრონი; 4. მუარი; 5. ნირვანა; 8. არხარი; 9. ლიტურგიკა; 12. მარინა; 14. ფინეთი; 16. ინოლა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იმპორტი; 2. მანსარდა; 3. ოპელი; 4. რუანდა; 5. სიო; 6. ურო; 7. კალენდარი; 8. სინდისი; 9. პას; 10. აკირა; 11. თონე; 12. ალია; 13. კარმენ; 14. სტატისტი; 15. პრადო; 16. როკადა; 17. პანთერა; 18. მონპელიე; 19. ოკარინა; 20. ლაგუნა; 21. მე; 22. არმია; 23. ლემპირა; 24. კონიაკი; 25. გვიანა; 26. ჰალსტუხი; 27. ჰაბანერა; 28. მალარმე; 29. ომეგა; 30. ნონა.

**სურათებზე:** ჟიულ დელპი; მანუელ ალმუნია.

# „იანდექსის“ თანადამფუძნებელი ილია სეგალოვიჩი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა

რუსული ინტერნეტ-გიგანტის „იანდექსის“ თანადამფუძნებელი ილია სეგალოვიჩი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ხშაბას ჩავარდა, როდესაც ავთვისებიანის სიმსივნის მეტასტაზებმა, რომელიც მას მუცლის ღრუში გასული წლის სექტემბერში აღმოაჩნდა, თავის ტვინი დააზიანა, – ნათქვამია კომპანის განცხადებაში.



ვოლჟის განმარტებით, ტვინის აქტოვობა ხუთშაბათს შეწყდა და თვით ხელოვნური კომის პირობებში მისი სიციცხლისუნარიანობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

48 წლის ილია სეგალოვიჩმა წინ არკადი ვოლჟთან ერთად კომპანია „იანდექსი“20 წლის დააფუძნა. ცოლ მარიასთან ერთად სეგალოვიჩი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო დაკავებული ქველმოქმედებით. მოელიან, რომ გარდაცვლილის ცხედარს მოსკოვში მომავალ ოთხშაბათს ლონდონიდან ჩაასვენებენ.

კომაში ჩავარდა დღეს 48 წლის ასაკში, ხელოვნური სუნთქვის აპარატის გამორთვის შემდეგ გარდაიცვალა. შესაბამისი განცხადება კომპანის გენერალურმა დირექტორმა არკადი ვოლჟმა გააკეთა.

მისი თქმით, აპატარის გამორთვის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, როდესაც ყველა იმედი გადაიწურა.

სეგალოვიჩი კომაში ოთ-

# პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებები აშშ-ში განახლდება



აშშ-ში პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებები განახლდება. ჯონ კერი ბოლო თვეების განმავლობაში დაძაბულად მუშაობდა ისრაელისა და პალესტინის ხელმძღვანელობასთან. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ორშაბთიდან ვაშინგტონში პალესტინა-ისრაელს შორის მოლაპარალებები განახლდება.

ეს მოლაპარაკებები ჩიხში 2010 წელს მოექცა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი გაძლიერებულად მუშაობდა იმისათვის, რომ ეს მოლაპარაკებები განახლებულიყო.

განცხადება მოლაპარაკებების განახლების შესახებ მას შემდეგ გაკეთდა, რაც ისრაელმა განაცხადა, რომ ციხიდან ასზე მეტი პალესტინელ პატიმარს გამოუშვებს. ამ საკითხის განხილვამ ისრაელის მთავრობაში განხეთქილება გამოიწვია. გათავისუფლება რამდენიმე ეტაპად წარიმართება და რამდენიმე თვეს გაგრძელდება.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დელეგაციების პირველი შეხვედრა ორშაბათს საღამოს გაიმართება და შემდეგ მოლაპარაკებები სამშაბათს გაგრძელდება.

მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო მდივანმა კერიმ კვირას დაურეკა ისრაელის პრემიერ მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს და პალესტინის ლიდერს მაჰმუდ აბასს. ორივე მათგანმა თანხმობა განაცხადა შეხვედრაზე და აღნიშნეს, რომ „შეხვედრა უახლოესი თვეების განმავლობაში მომავალი მოლაპარაკებების დაგეგმვის საშუალების მომცემი იქნება“.

კერი გამოქვეყნებულ განცხადებაში ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გამო ორივე ლიდერს მადლობას უხდის.

ისრაელი პალესტინასთან ყველა შეთანხმებას რეფერენდუმზე გამოიტანს. ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ პალესტინელების გათავისუფლება ეს რთული, მაგრამ აუცილებელი ზომაა ერის სასიკეთოდ. მინისტრთა კაბინეტმა ის კანონპროექტი მოიწონა, რომელიც პალესტინასთან შეთანხმებების რეფერენდუმზე გამოტანის საშუალებას იძლევა.

„მნიშვნელოვანია, რომ ესოდენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ყველა მოქალაქე პირდაპირ აფიქსირებდეს თავის არჩევანს“, – ნათქვამია ნეთანიაჰუს კანცელარიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამავე დროს, დიდი დებატების შემდეგ ასევე მიღებულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც პალესტინელი პატიმრები უნდა გათავისუფლდნენ. პალესტინელი პატიმრების გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებამ პრემიერ-მინისტრის დიდი ძალისხმევა მოითხოვა. მრავალი პატიმარი ხომ ებრალებზე თავდასხმისა და მათი მკვლელობის გამოა დაპატიმრებული.

# ეგვიპტის პირველი დიპლომატი მოსახლეობას თავშეკავებისაკენ მოუწოდებს

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსახლეობას თავშეკავებისაკენ მოუწოდა. ერთი დღით ადრე კი კაიროს ქუჩებში შეტაკებას, სულ მცირე, 70 ადამიანი ემსხვერპლა.



„ბი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნაბილ ფაჰმიმ განაცხადა, რომ „ძალადობა და ძალადობის წახალისება ყველა მხარემ უნდა შეწყვიტოს“.

შაბათს, პრეზიდენტ მოჰამედ მურსის მხარდამჭერებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. ქალაქის მეჩეთთან ამ დროისათვისაც მურსის ათობით მხარდამჭერია თავმოყრილი. პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა ადლი მანსურმა ცოტა ხნის წინ პრემიერს უფლება მისცა, რომ მან ქვეყნის არმიას მოქალაქეების დაკავების ნება დართოს. შეტაკებების გარეშე არც კვირა დღეს ჩაუვლია, რასაც სულ მცირე ორი ადამიანი ემსხვერპლა.

ქვეყნის პირველმა დიპლომატმა კითხვაზე გადააჭარაბა თუ არა არმიამ შაბათს, შემდეგი პასუხი გასცა: „თუ ხედავ რომ ორივე მხარე ერთმანეთს ესვრის, ამას მსხვერპლი აუცილებლად მოჰყვება“.

მთავრობა შაბათს უსაფრთხოების ძალების მიერ ხალხის მისამართით ცეცხლის გახსნას უარყოფს. მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, მათ მხოლოდ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

„ობსერვერის“ ცნობით, საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი კეტრინ ეშტონი დღეს ეგვიპტეში ჩავიდა. იგი ამ ქვეყანაში პრეზიდენტ მურსის გადაყენების შემდეგ ადრეც იმყოფებოდა.

ეშტონის თქმით, მისი ვიზიტის მიზანია, მოუწოდოს „ყველა პოლიტიკურ ჯგუფს, მათ შორის „ძმებ მუსლიმებსაც“ ჩართული იყვნენ ტრანზიციის პროცესში. ეგვიპტე კვლავ განაგრძობს ეგვიპტელი ხალხისა და დემოკრატიისაკენ მათი მისწრაფების მხარდაჭერას“, – აღნიშნა უმაღლესმა კომისარმა.

შეგახსენებთ, რომ არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი 3 ივლისს ჩამოაშორა თანამდებობას. მას შემდეგ ქვეყანაში მურსის მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება, რომლებიც მურსის პრეზიდენტად დაბრუნებას მოითხოვენ და ახალ მთავრობას არ ცნობენ.

# სნოუდენის საქმესთან დაკავშირებით აშშ-სა და რუსეთს შორის მიწერ-მოწერა გრძელდება

რუსეთის იუსტიციის სამინისტრო ამზადებს პასუხს აშშ-ის იუსტიციის მინისტრის წერილზე, რომლითაც მან რუსეთის იუსტიციის სამინისტროს „სი-აი-ეის“ ყოფილ თანამშრომელ, ედვარდ სნოუდენთან დაკავშირებით მიმართა. ამის შესახებ რუსეთის იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური იუწყება.



აშშ-ის იუსტიციის მინისტრი ერიკ ჰოლდერი თავის რუს კოლეგას ალექსანდრე კონოვალოვს მისთვის მიწერილ წერილში არწმუნებს, რომ სნოუდენს სიკვდილით დასჯა არ ემუქრება. აღნიშნულზე რუსეთის იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ სნოუდენის საქმე მათ უწყებას არ ეხება და ამ საქმით რუსეთს გენერალური პროკურატურაა დაკავებული.

აშშ-ის იუსტიციის მინისტრის წერილზე რუსეთის იუსტიციის სამინისტრო საპასუხო წერილს ამზადებს, თუმცა როგორი იქნება ეს პასუხი, ჯერ-ჯერობით უცნობია.

ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მიიჩნევს, რომ აშშ-ის სპეც-სამსახურების ყოფილი თანამშრომლის, ედვარდ სნოუდენის საქმესთან დაკაშვირებით რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „სწორად იქცევა“.

მისი თქმით, „პუტინი ამ საქმესთან დაავშირებით სწორად იქცევა. სნუდენისთვის აქამდეც უნდა მიეცათ პოლიტიკური თავშესაფარი“.

შეგაზსნებთ, რომ „სი-აი-იეის“ გაქცეული თანამშრომელი, 30 წლის სნოუდენი, რომელმაც აშშ-ის სპეცსამსახურების საიდუმლო მასალები გაასაჯაროვა, მოსკოვის აეროპორტ „შერემეტიევოს“ სატრანზიტო ზონაში იმყოფება.

რუსეთში დროებითი თავშესაფრის მიღების სურვილთან დაკავშირებით სნოუდენმა ჯერ კიდევ 12 ივლისს, აეროპორტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. ამერიკული სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომლება გავლენიან რუს დეპუტატებს, ადვოკატებსა და უფლებადამცველებს სთხოვა, გავლენა იქონიონ ქვეყნის ხელისუფლებაზე, რათა მან თავშესაფრის მიღება რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს.

წინათ რუსეთის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, სნოუდენს თავშესაფარი მისცეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის აშშ-ისთვის საზიანო საქმიანობას შეწყვეტდა. სნოუდენმა კი, განაცხადა, რომ ის არ აპირებს ზიანი მიაყენოს თავის ქვეყანას, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კი მიზნად ისახავს, საზოგადოებას აჩვენოს, თუ როგორ ბოროტად იყენებს ხელისუფლება სპეცსამსახურების შესაძლებლობებს.

# ლიბიის ციხიდან ათასი პატიმარი გაიქცა

ლიბიის ქალაქ ბენღაზში მდებარე „ალ კუიფიას“ ციხეში



27 ივლისს ბუნტი მოხდა. ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სამსხურის ინფორმაციით, ციხიდან ათასზე მეტი პატიმარი გაიქცა.

როგორც ცნობილი გახდა, გაქცეულებს შორის ის პირებიც არიან, რომლებიც მუამარ კადაფის რეჟიმთან თანამშრომლობის გამო იყვნენ დაპატიმრებულნი. ქვეყნის პრემიერმა ალი ზეიდანმა ციხიდან პატიმრთა გაქცევის ფაქტი დაადასტურა, თუმცა ზუსტი რიცხვი არ დაუსახელებია.

2011 წლის სამოქალაქო ომი ქვეყნის ლიდერის მუამარ კადაფის ჩამოგდებითა და სიკვდილით დასრულდა, დაინგრა მისი 34 წლიანი ჯამაჰირიის სახელმწიფო. შედეგად, დღეისათვის ლიბიაში პოლიტიკური რეფორმები მიმდინარეობს. ქვეყანა ეროვნული გარდამავალი საბჭოს მიერ მიღებული შუალედური კონსტიტუციით იმართება.

2012 წლის 7 ივლისს ჩატარდა საყოველთაო ეროვნული კონგრესის არჩევნები, რის შემდეგაც, 8 აგვისტოს, გარდამავალმა საბჭომ ძალაუფლება ახლად არჩეულ ასამბლეას გადასცა. ასაბმლეას ეკისრება პასუხისმგებლობა ჩამოაყალიბის კონსტიტუციური ასამბლეა, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ლიბიის მუდმივი კონსტიტუცია, რომელიც შემდეგ რეფერენდუმით დამტკიცდება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით და ვუთანაგრძნობთ შვილებს – მერის, მაიასა და მერაბს საყვარელი დედისა და ჩვენი კეთილშობილი, ჰუმანური, საყვარელი მეზობლის, ქალბატონ

**ცისანა მიქაძე-გვასალიას**

გარდაცვალებას.

კუსუნა, გოჩა მზარელუები

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 30 ივლისი

08.00 დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 09.10 დ/ფ "ჰოლივუდი" 10.20 საბ. მხ/ფ "**ყვირილი**" 12.35 მხ/ფ "**სად ხარ?!**" 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 "ჩვენი ეზო" 18.00 დ/ფ "ადამიანი პლანეტა" 19.05 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 21.00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპის პირველი მატჩი: "**დინამო**" /თბილისი/ – "**სტიაუა**" /ბუქარესტი/ (II ტაიმი) (პ/რ) 22.00 დ/ფ "ფეხბურთის ისტორია" 22.30 მხ/ფ "**აბრეშუმი**" (კ.ნაიტლი) 00.30 მხ/ფ "**საწვრთნელი დღე**" (დ.ვაშინგტონი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 00.30 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" I ნაწ. 14.00 დ/სერ. "მეცნიერება ფილმებში" 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 2 ნაწ. 20.00 **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო მატჩი: "**დინამო**" თბილისი – "**სტიაუა**" ბუქარესტი I – II ტაიმი (პ/რ) 22.00 "არგუმენტების დრო" (პ/ე) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 მხ/ფ. "**ერთი დღე ცხოვრებიდან**" 10.00 სერ. "**დაუვიწყარი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "**მაფიის ქვრივი**" 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 კონცერტი: "ომარ მხეიძე" 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ."**დამალული სიმართლე**" 17.50 სერ. "**მაგნატები**" 18.50 სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 21.00 სერ. "**დაბრუნება**" 22.00 ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) 23.00 მხ/ფ. "88 **წუთი**" (ა.პაჩინო) 01.20 მხ/ფ. "**დაბრუნება**" (პ.კრუსი)

08.00 მხ/ფ 10.00 სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" 11.00 სერ."**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ 14.00 სერ "**ერთგულების ძალა**" 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50 სერ. "**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 გაცინე და მოიგე. 23.00 სერ. "**სიცრუის თეორია**" 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 სპექტაკლი - "**ეზოში ავი ძაღლია**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.10 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 დოკ/ფ "აქედან მთელი საქართველო დაილოცება" 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ზოგი ჭირი მარგებელია**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.50 კონცერტი - რიჩარდ კლაიდერმანი 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.35 მოკ/ფ "**თუჯი**" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ნიამორი

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმები 9.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.30 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 15.40, 17.30, 2.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 2.00, 3.00 ახალი ამბები 12.40, 22.20, 3.30 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 14.40, 22.00, 1.30, 5.30 "ყოველდღიური ამბები" 16.00 **სერიალი "შტორმი"** 18.05, 0.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სერიალი "1001 ღამე"**

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05 **სერიალი "ტკბილი შხამი"** 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 ანატომია 16.10 სპორტის დრო 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 19.30 ფეხბურთი სერბეთი-საქართველო 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 2.20 რაგბი 0.20 მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 ივლისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6546
ევრო — 2,1948
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5494
100 რუსული რუბლი — 5,0697

**ამინდის პროგნოზი 30 ივლისისთვის**




# რუს ტურისტს სოხუმში ცოლი მოსტაცეს



მოსკოვის მცხოვრებს სოხუმში ცოლი მოსტაცეს, ვლადიმერ კრიმსკი დახმარებას ითხოვს.

„მეგობრებო, ვისაც შეგიძლიათ დამეხმარეთ, მომტაცეს ცოლი, მარინა კრიმსკაია სერგეის ასული, სოხუმში გამართული კონცერტის შემდეგ“, – წერს სოციალურ ქსელ ფეისბუკში ერთ ერთი მომხმარებელი ვლადიმერ კრიმსკი და დახმარებას საქვეყნოდ ითხოვს.

„ჩემი ცოლი სოხუმში გამართული კონცერტის შემდეგ სასტუმრო „ინტერ-სოხუმიდან“ მოიტაცეს. მე შემთხვევით შევძელი მასთან დაკავშირება და ვიღაც გოგომ ვიდრე ვიღაც ადამიანები ეზოში იყვნენ გასულნი მიპასუხა და მითხრა, რომ ის და მისი მეგობარი აქ მოიყვანეს და სასტუმროში არ უშვებენ. მათი დატოვება აქ დილამდე სურთ“, – წერს ვლადიმირი თავის პოსტში.

მისივე თქმით, მან სოხუმის სამართალდამცავებს მიმართა, რომლებმაც სახლი მოინახულეს და მათთან მოილაპარაკეს.

„თქვეს, რომ იქ კარგი ადამიანები ისვენებენ და ჩემი ცოლი იქ არ არის. ამ კარგმა ადამიანებმა კი მე დამირეკეს და დამემუქრნენ. განცხადების დაწერას ვაპირებ პოლიციაში“, – ნათქვამია პოსტის ბოლოს.

**ათბ-ნიუსი**

# ასტროპროგნოზი 30 ივლისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – მშვენიერი დღეა, ყველა ნატვრა გისრულდებათ. **კურო** – არ აჩქარდეთ, ნელა იმოქმედეთ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – ყველა საქმე გამოგდით, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, გიხარიათ. **ქალწული** – რისკი არ არის გამართლებული, ჩვეულ გზაზე იარეთ. **სასწორი** – შეიცვალეთ იმიჯი, ასე აჯობებს. **ღრიანკალი** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **თხის რქა** – თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემა არ გაქვთ. **მერწყული** – მთლიანობაში წარმატებული დღეა. **თევზები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 3. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 4. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 5. უმოტორო თვითმფრინავი; 6. სამაგიეროს გადახდა; 11. ლითონის ზედაპირის დასამუშავებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 13. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ატმოსფეროს ზედა ფენა; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 18. სისხლის თხევადი ნაწილი; 19. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

**თარაზულად:** 7. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 8. ქართველი მოქანდაკე; 9. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში; 12. ორკორპუსიანი გემი; 14. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 16. ფრანგული ლიქიორი; 18. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 20. დაბალი, გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 21. დროის ისტორიული მონაკვეთი; 22. ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 23. ქართული გაზეთი; 24. რაიონული ცენტრი გურიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# ფუტსალში აურზაური არ წყდება



ქართულ ფუტსალში არეულობა გრძელდება. ფუტსალის ასოციაციის უფლებამოსილმა პრეზიდენტმა ლევან გრიგოლიამ ასოციაციის ყოფილ პრეზიდენტ ლევან ცქიტიშვილს ბრალი დასდო ფინანსურ მაქინაციებში და მიუთითა, რომ მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, ასოციაციაში ანგარიში არ წარუდგენია განვლილი სეზონის დეტალური ფინანსური ხარჯთაღრიცხვასა და მომდევნო სეზონის ბიუჯეტზე.

**ლევან გრიგოლია:**

– ამა წლის 16 ივნისს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტმა ლევან ცქიტიშვილმა უეფას თავზე „გადაახია“ დებულება. სავალდებულო კონფერენციას, სადაც უნდა წარმოედგინა განვლილი სეზონის დეტალური ფინანსური ხარჯთაღრიცხვა და მომდევნო სეზონის ბიუჯეტი, მან თავი აარიდა. სფფ-ს ცნობილი წერილების შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ ლევან ცქიტიშვილს ფინანსური ანგარიშები წესრიგში არ აქვს, ხოლო იმ ფაქტმა, რომ მან უარი თქვა გამგეობის სხდომების და კონფერენციის სავალდებულო მოწვევაზე, ეს ეჭვი გაამძაფრა. ამ ბატონებთან (ცქიტიშვილი, კვიციანი) ჩვენ გვაქვს ძალიან კონკრეტული პრეტენზია: 7 თვის განმავლობაში ვერ ახერხებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეროვნული ნაკრებისთვის გამოყოფილი თანხების კანონიერად განკარგვის დოკუმენტების წარმოდგენას. კერძოდ: პორტუგალიაში, მალტაში, აზერბაიჯანსა და ჰოლანდიაში თამაშების ხარჯთაღრიცხვას. ასევე უარს ამბობენ ეროვნული ჩემპიონატის ხარჯთაღრიცხვისა და სპონსორების მიერ ჩარიცხული თანხების წარმოდგენაზე და ეროვნული თასის გათამაშების ჩაშლის მიზეზის დასახელებაზე. მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, ისინი უარს აცხადებენ, ასოციაციის წევრებს წარუდგინონ ფინანსური ანგარიში.

მოამზადა
მიხეილ ყორყოლიანმა

# უნიკალური აღმოჩენა ბაგინეთში

ეკა ირემაშვილი

„დედოფლის გორის“ შემდეგ არქეოლოგებმა უნიკალური აღმოჩენა ბაგინეთშიც გააკეთეს. მათ მიერ აღმოჩენილია ახალი წელთაღრიცხვის მეორე-მესამე საუკუნეების ათი შენობა და საყოფაცხოვრებო ნივთები, თანაც იმ ადგილას, სადაც ძველი მცხეთის ცენტრალური ნაწილი და სამეფო რეზიდენცია მდებარეობდა.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგის ექსპედიციის ხელმძღვანელის გურამ ნიკოლაიშვილის თქმით:

– აღმოჩენილია 35-35 კვადრატული მეტრის ფართობის მქონე ათი შენობა, რომელიც ალიზითაა ნაშენი. შენობები ორ რიგადაა განლაგებული და ისინი ერთმანეთთან ლიობებითაა დაკავშირებული. შენობების გადახურვისას „იბერიული“ კრამიტია გამოყენებული. ნამოსახლარის გამოვლენის პროცესი ახლა მიმდინარეობს და მისი მხოლოდ ნაწილია აღმოჩენილი. იმ ადგილიდან, სადაც ახლა არქეოლოგები მუშაობენ, დასახლება ყველა მხარეს გრძელდება. ადგილზე მუშაობა ამ დროსაც მიმდინარეობს. მთავარი პრობლემა, რასაც ექსპედიციის წევრები აწყდებიან ალიზით ნაშენი შენობების კონსერვაციაა. აქ აღმოჩენილი ნამოსახლარის შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ კონსერვაციის პრობლემაა. ალიზი ძნელად დასაცველია. ეს ადგილი ვიზიტორებისთვისა და ტურისტებისთვის საინტერესოა. მოდიან და საჭიროა მისი გამაგრება, ზრუნვა იმისათვის რომ დარჩეს, დაკონსერვდეს.

არქეოლოგი განმარტავს, რომ „იბერიული კრამიტის“ პროტოტიპი ბერძნული კრამიტია:

– მისი არსებობა აქამდეც იყო ცნობილი. მცხეთაში დამზადებულ კრამიტს ნაპირებში ღარები აქვს, რომლითაც ისინი ერთმანეთზე მაგრდებიან. ამის გარდა, ცნობილია კუთხის – „კეხის“ კრამიტები, რომლებიც სახურავის მოპირდაპირე მხარეს განლაგებულ კრამიტებს ერთმანეთთან აერთებდა. ეს გულისხმობს ორქანობიან გადახურვას.

ვახტანგ ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ აღმოჩენილი მასალებზე დაყრდნობით უჭირს იმის განსაზღვრა, თუ როგორი ფუნქციის მქონე დასახლება იყო და ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრების როგორ წესს მისდევდა, ან რას საქმიანობდა. ჯერჯერობით, ბაგინეთში აღმოჩენილია მინისა და კერამიკის ჭურჭელი, სანელსაცხებლეები, სარძევე ჭურჭელი და ხელადები.

– ამ ეპოქისთვის თიხის ჭურჭელი დამახასიათებელია. აღმოჩენილია ასევე 1800 წლის წინანდელი სათამაშო ნიღბიანი კაცის გამოსახულებით.

ბაგინეთი, იგივე არმაზციხე, ძველი მცხეთის ცენტრალური ნაწილი იყო, სადაც ქართლის მეფეების სასახლე, ტაძარი და სამი აბანოა აღმოჩენილი. ამ ადგილას მდებარეობდა მცხეთის მთავარი ციხე, „შიდა ციხე“, იგივე „დედაციხე““ რომელსაც ისტორიოგრაფია არმაზციხის (ბაგინეთის) სახელით იცნობს, მთავარი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო.

– ძველად გამოვლენილ ნაგებობებთან ერთად, ეს ახალ ინფორმაციას გვაწვდის მშენებლობის შესახებ. აქ არქიტექტურული დეტალებიც არის თითო-ოროლა აღმოჩენილი. ეს აღმოჩენა, იმისათვის რომ გამოიკვეთოს დედაციხის გეგმარება, მნიშვნელოვანი წყაროა, – ამბობს არქეოლოგი.

პრეზენტაცია ახალი აღმოჩენის შესახებ არქეოლოგიურ ობიექტზე გაიმართა, რომელსაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და კულტურული მემკვიდრების დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი მერაბ ბოჭოიძე დაესწრნენ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის მიერ ხორციელდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბაგინეთის არქეოლოგიური შესწავლა პირველად 120 წლის წინ ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით განხორციელდა.

– არმაზციხე ძველი მცხეთის შიდაციხეა მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ქალაქის სამხრეთ ნაწილში. ამ ტერიტორიაზე მდებარეობს რამოდენიმე ისტორიული ძეგლი: არმაზციხე (ბაგინეთი), არმაზის ციხე, არმაზისხევი და არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია. ეს ერთნაირი დასახელებები ხშირად იწვევს ხალხში ამ ძეგლების სახელწოდებების ერთმანეთში არევას. ამ მიზეზის გამო აქვე მოვახდენთ ამ ძეგლების გამიჯვას:

მდინარე არმაზისხევის ხეობაში, მდებარეობს ორი ძეგლი: ღვთისმშობლის მონასტერი და არმაზის ციხე. ისინი ერთმანეთისაგან ერთი კილომეტრით არიან დაშორებული.

არმაზისხევი მდებარეობს მდინარეების არმაზისხევის და მტკვრის შესართავთან. ადრე აქ იყო პიტიახშთა რეზიდენცია. ახლა აქ საველე მუზეუმია შექმნილი. ბაგინეთი იგივე არმაზციხე (არა არმაზის ციხე), მდებარეობს უფრო აღმოსავლეთით ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლები. ამ ადგილას არმაზის კერპი იყო აღმართული. ბაგინეთი (არმაზციხე) მდებარეობს საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, მცხეთის რკინიგზის სადგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ამ ადგილს მოსახლეობა ბაგინეთს უწოდებს. ის მოხერხებული ადგილმდებარეობის გამო ბატონობდა მცხეთისაკენ მიმავალ გზებზე. ლეონტი მროველი ციხე-ქალაქის პირველ აღმშენებლად ქართლოსს ქართველთა ნათესავთმთავარს ასახელებს. სახელწოდება „არმაზციხე“ ქართლის უზენაეს წარმართულ ღვთაებას არმაზს უკავშირდება. აქ გათხრები წარმოებს 1943 წლიდან, რა დროსაც აღმოჩნდა სამი მკაფიოდ განსხვავებული კულტურის ფენა – ქვედა (არმაზციხე I) უძველესი ქალაქისა და განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებს; შუა (არმაზციხე II) – ძველი წელთაღრიცხვის III-I საუკუნეები და ზედა (არმაზციხე III) – I და მომდევნო საუკუნეებს მცხეთის დედაქალაქობის ხანის დასასრულამდე. ასევე გამოვლინდა მშენებლობის ორი ძირითადი საფეხური. პირველი: უმთავრესი სამშენებლო მასალ ქვათლილი და ალიზაგურია; ალიზ-აგურის კედლები ქვათლილთა საძირკვლებზეა ამოყვანილი; თვით ქვათლილები ჩასმულია კლდეში ამოკვეთილ ბუდე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი